

**ხმამაღალი განცხადება და მისი უკუეფექტი**

A2



**რუსეთი ექსტრადირების შესახებ საერთაშორისო არბიტრაჟის შექმნაზე მუშაობს**

A4



**„სახალხო ბანკი" სახალხო სპორტის სამსახურში**

B4


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 27 იანვარი, 2006 წელი. №17 (1169)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ბერეზოვსკი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ემზადება



ბორის ბერეზოვსკი, უკვე წელიწადნახევარია, რუსეთში "ძალისმიერი გზით ძალაუფლების ხელში აღებას" ამზადებს, - ამის შესახებ ლონდონში მცხოვრებმა რუსმა მილიარდელმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

A3

## ეკონომიკა

### ლიზინგი საქართველოში - კანონი და პერსპექტივა



2004 წლიდან დღემდე საქართველოში მხოლოდ ორი სალიზინგო კომპანია - "თი-ბი-სი ლიზინგი" და "საქართველოს სალიზინგო კომპანია" - მოქმედებს. გაზეთ "24 საათის" კითხვებს, ლიზინგის მოთხოვნისა და მისი ბაზრის განვითარების შესახებ, სააქციო საზოგადოება "თი-ბი-სი ლიზინგის" დირექტორი თეა ლორთქიფანიძე პასუხობს.

A3


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 27/01 | 28 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | 5 |
| ტყიბული | 6 | 4 |
| სოხუმი | 5 | 3 |
| დმანისი | -3 | -4 |
| გორი | 2 | 2 |
| ონი | 0 | -2 |
| ზუგდიდი | 6 | 5 |
| ახმეტა | 7 | 6 |
| ბაზრა | 4 | 1 |
| სამტრედია | 7 | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სხვადასხვა | A 5 |
| განცხადება | A 6 |
| ტენდერი | A 7-A 8 |
| ტენდერი | B 1-B 3 |
| სპორტი | B 4 |


# გენერალთა სახიფათო თამაშები

## ეროვნული გვარდია კვლავ სარდლის გარეშე რჩება

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად „24 საათისთვის"*

*მწვავე ენერგეტიკული კრიზისის გარდა, შვეიცარიიდან დაბრუნებულ საქართველოს პრეზიდენტს სამშობლოში კიდევ ერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდება. 25 იანვარს გადადგომის შესახებ პატაკი დაწერა ეროვნული გვარდიის სარდალმა, „ვარდების რევოლუციის" დღეებში მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსმა, გენერალმა გოგი თათუხაშვილმა. კულუარებში საუბრობენ დაპირისპირებაზე, რაც ოქრუაშვილსა და თათუხაშვილს შორის ბოლო ხანს ლამის ხელჩართულ ჩხუბამდე მისულა.*

ალბათ, გენერალი თათუხაშვილი საქართველოს სამხედრო ძალების ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე ხანმოკლე მეთაური. იგი თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობაზე მუშაობას ზუსტდად 16 იანვარს შეუდგა. 25 იანვარს კი თათუხაშვილის მიერ ხელმოწერილი პატაკი ეროვნული გვარდიის შტაბში დაიდო - გენერალი გადადგომას ითხოვდა. ჩვენთან ინტერვიუში ეროვნული გვარდიის სარდალმა გადადგომის ოფიციალურ მიზეზად პენსიაში გასვლა დაასახელა.

გაგრძელება A3 გვერდზე





*თათუხაშვილის და ოქრუაშვილის დაპირისპირებამ ეროვნული გვარდია კვლავ უსარდლოდ დატოვა.*

# ქარიშხალმა იმერეთი ჩააბნელა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

იმერეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი გათბობისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ერთკვირიან ძლიერ ყინვებსა და ინტენსიურ თოვლს გუშინ ძლიერი ქარიშხალი დაემატა, რამაც რეგიონის ენერგოსისტემა მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "იმერეთის" დაზიანების შედეგად, ხუთი რაიონი - ხონი, ბაღდათი, წყალტუბო, ვანი და ხარაგაული - ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. შუქის მიწოდება 60-დან 8 მეგავატამდე შემცირდა ქუთაისშიც. "ლაჯანურ ჰესის" ავარიულად გათიშვის გამო, ელექტროენრგიის გარშე დარჩა ლენტეხისა და ცაგერის რაიონები.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჭაჭის დრო და ადგილი

რას აკეთებს რიგითი ქართველი, როდესაც გარეთ გადაუღებლად თოვს, სახლში ცივა, ბნელა და არ იცის, როდის დამთავრდება ენერგოკრიზისი? ადვილი მისახვედრია - გათბობის, ვირუსისგან დაცვისა და სიბნელის გადატანის მრავალსაუკუნოვანი ეროვნული წამალი ჭაჭაა. "თელიანმა ველმა" საკუთარი წარმოების მუხის კასრში დაყენებული და უბრალოდ, თეთრი ჭაჭის პრეზენტაცია ზუსტი მარკეტინგული გათვლებით, საჭირო დროს და საჭირო ადგილას გააკეთა.

გარეთ ციოდა და თბილისისთვის უჩვეულოდ თოვდა. კლუბ „2 side"-ში კი ღვინის კომპანია „თელიანი ველის" მეგობრები, პარტნიორები და მომხმარებლები შეიკრიბნენ. კომპანიამ მეგობრებს ძველი ქართული ტრადიციების მიხედვით ყურძნისგან დამზადებული ახალი ალკოჰოლური სასმელი, ღია და მუქი შეფერილობის „ჭაჭა" წარუდგინა, გასული წლის საუკეთესო პარტნიორები გამოავლინა და მათ სპეციალური სერთიფიკატებიც გადასცა. ღვინის ამ პოპულარულმა კომპანიამ საუკეთესო პარტნიორები - რესტორნები, ბარ-რესტორნები, მედიასაშუალებები, სუპერმარკეტები, ბიზნესჯგუფები, ღვინის სახლები, სასტუმროები და სარეკლამო სამსახურები სხვადასხვა ნომინაციებში დააჯილდოვა. საუკეთესო პარტნიორის დიპლომი "24 საათსაც" ერგო. როგორც „თელიანი ველის" დირექტორმა, გიო ხუციშვილმა განაცხადა, ეს საუკეთესო პარტნიორები მისმა კომპანიამ გასული წლის მუშაობის შედეგად შეიძინა.

კომპანიამ "თელიანი ველი" გასულ წელს საერთაშორისო ფესტივალებზე 9 ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა, გასულ წელსვე ამავე კომპანიამ ჩამოაყალიბა "სომელიეს სკოლა". მიმდინარე წელს კი სადისტრიბუციო ფირმის, „თელიანი თრეიდინგი"-ს გახსნას აპირებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ბრენდების შემოტანით დაკავდება.

მსოფლიო ბრენდების შემოსვლამდე კი მრავალნაცად მეთოდს მიმართეთ - გადაკარით ჭაჭა და ნახავთ, როგორ გაჰყვება თან სიცივე, ნაღველი და დარდი...



*გიო ხუციშვილი სტუმრებს ესალმება.*


# ლიტერატურული კონკურსი "საბა"-2006



## გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ 2006 წელს უკვე მეოთხედ გაიმართება ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოება, რომლითაც მოხდება ამჯერად უკვე 2005 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" დამფუძნებლები არიან სს თიბისი ბანკი, გაზეთი "24 საათი" და მწერალთა გაერთიანება "ქართული პენ-კლუბი". პრემიის მიზანია გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

წლეულსაც პრემიის გაცემა მოხდება ტრადიციულად 23 აპრილს. **პრემიაზე განიხილება 2005 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.**

**ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:**

წლის საუკეთესო რომანი
წლის საუკეთესო პოეტური კრებული
წლის საუკეთესო პიესა
წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
წლის საუკეთესო თარგმანი
წლის საუკეთესო დებიუტი

**იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2005 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, გთხოვთ, 31 იანვრამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი და გამომცემლობა.**

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ფაქსი: 772 774**
**e-mail: mdzirkvelishvili@tbcbank.com.ge**
**info@tbcbank.com.ge**
ან წერილობითი სახით მოგვაწოდოთ მისამართზე:
*თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7, "თიბისი ბანკის" სათავო ოფისი*

*საკონტაქტო პირი: მაია ძირკველიშვილი*
*თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

# სინათლის ქალაქი სიბნელედ იქცა

## ქვეყანა ენერგობლოკადაშია

*გაზის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა სიბნელეშიც აღმოჩნდა. ენერგოსისტემაში მომხდარი ავარიის გამო, აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად პარალიზებულია. სისტემური ავარიის მიზეზი ქვეყნის დასავლეთ რეგიონში მდებარე 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის, "იმერეთის" ავარიული გამორთვა გახდა. "იმერეთის" დაზიანებამ ერთიან ენერგოქსელში სისტემური რყევები გამოიწვია, რასაც შ.პ.ს. "მტკვარი ენერგეტიკას" მე-9-ე ენერგობლოკის ავარიული გამორთვაც მოჰყვა. მე-9-ე ენერგობლოკი, სავარაუდოდ, დღეს საღამოს ჩაირთვება. აქედან გამომდინარე, ელექტროენერგია მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს მიეწოდება.*

ნათია მსხილაძე

ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის გამო, სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. პრემიერის განცხადებით, ქვეყანა ენერგობლოკადაში იმყოფება. დიდი დატვირთვის შედეგად, ავარიულად გამოირთო მე-9-ე ენერგობლოკი. მეტეოროლოგიური პირობების გამო კი ავარიები მოხდა ხუთ 110-კილოვოლტიან, ორ 220-კილოვოლტიან და ერთ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზებზე. **"ენერგობლოკადის გამო, ხუთი დღის განმავლობაში მთელი ენერგოსისტემა ავარიულ ზღვარზე მუშაობს, რასაც ენერგოსისტემა ვეღარ უძლებს და ხშირია ავარიული გათიშვები,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

საგანგებო ბრიფინგზე პრემიერმა "გაზპრომი" მსოფლიო საზოგადოების დეზინფორმირებაში დაადანაშაულა. ნოღაიდელის თქმით, **"გაზპრომის" ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულია მცდარი ინფორმაცია, თითქოს აზერბაიჯანს რუსეთიდან ყოველდღიურად დამატებით 3 მილიონი კუბური მეტრი გაზი მიეწოდება, რათა აზერბაიჯანმა საქართველოს გაზის მიწოდება გაუზარდოს. ეს ასე არ არის. ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი ბაქოშია და ვიცით, რომ აზერბაიჯანი "გაზპრომიდან" გაზის მხოლოდ იმ რაოდენობას იღებს, რომელიც საკუთარი მოხმარებისთვის სჭირდება,"** - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

პრემიერი ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანმა თავისი რესურსებიდან საქართველოს ორნახევარი მილიონი კ/მეტრი გაზის მიწოდება შეუნარჩუნოს, რადგან თავად აზერბაიჯანში ამ მხრივ მძიმე ვითარებაა. **"ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, "გაზპრომის" მხრიდან მცდარი ინფორმაციების გავრცელება შეწყდეს. თუკი რუსულ კომპანიას აზერბაიჯანისთვის 3 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდება მართლა შეუძლია, მაშინ ეს დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, რათა საქართველოს აზერბაიჯანიდან უფრო მეტი გაზის მიღების შესაძლებლობა მიეცეს,"** - აცხადებს ნოღაიდელი.

ხელისუფლება კრიზისიდან გამოსასვლელად ალტერნატიულ გზებს ეძებს. დღის მეორე ნახევარში, კანცელარიაში სპეციალურ განცხადებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე აკეთებს და მედიას ინფორმაციას ენერგეტიკის მინისტრის ირანში ვიზიტის შესახებ აწვდის. აზერბაიჯანის შემდეგ გილაური საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მოწოდების ალტერნატიული გზების შესახებ მოლაპარაკებას ახლა უკვე თეირანში აწარმოებს.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განგვიმარტა, საქართველოს ამ დროისთვის გააჩნია ერთადერთი გაზსადენი, რომლითაც გაზის მიღება შეიძლება როგორც აზერბაიჯანიდან, ასევე ირანიდან. არველაძის თქმით, ამ ეტაპზე ხელისუფლებისთვის ირანული გაზის ფასს იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც გაზის მოწოდების დაწყებას. თუმცა, მისი ინფორმაციით, შესაძლოა საქართველომ ირანიდან ბუნებრივი აირი უფრო იაფად მიიღოს, ვიდრე რუსეთიდან.

გაზის და შუქის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის გათბობის საშუალებად ნავთქურა იქცა. შესაბამისად, მოთხოვნილება ნავთზეც გაიზარდა. თუ ნავთის საბაზრო ფასი 1 ლარი და 40 თეთრი იყო, კრიზისის დროს ფასი გაორმაგდა. ტარიფი კი გაიზარდა, მაგრამ საწვავის შოვნაც გაჭირდა. ნავთქურის ასანთებად 4-5 ლიტრი ნავთია საჭირო, ანუ მოსახლეობას გათბობა დღიურად დაახლოებით 15 ლარი უჯდება.

ხელისუფლება გათბობის საშუალებებსა და ნავთზე ფასების ხელოვნურად გაზრდის აღსაკვეთად უმკაცრესი ზომების გატარებას იწყებს. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ განაცხადა, ცალკეულმა ბიზნესმენებმა გადაწყვიტეს, ხალხის გაჭირვებით ისარგებლონ და ხელი მოითბონ. მისივე თქმით, ყველა, ვინც კრიზისის დროს საჭირო სასიცოცხლო პროდუქციაზე ფასს ხელოვნურად გაზრდის, უმკაცრესად დაისჯება.

# ციგები - ყვითელი ავტობუსების ნაცვლად

*თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელობას თუ დავუჯერებთ, თოვლთან გასამკლავებლად ტექნიკური მარილიც საკმარისი გვაქვს და ნიჩბებიანი მანქანებიც. თუმცა, ტრანსპორტს დედაქალაქის ქუჩებში მოძრაობა მაინც ძალიან უჭირს. ჩვენი ხელისუფლების სანაქებო ყვითელი ავტობუსები კი თოვლმა ისე დააშინა, 150 ავტობუსიდან ქალაქში მოძრავს ერთი-ორს თუ ნახავთ.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის კეთილმოწყობის სამსახური ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ აცხადებდა, რომ დედაქალაქს თოვლიან-ყინვიანი ზამთრის არ უნდა ეშინოდეს, რადგან სამსახურმა ტექნიკური მარილი წინასწარ მოიმარაგა და მანქანებიც საკმარისი აქვს. **"დღესაც რომ დაიწყოს თოვა, ტექნიკური მარილის სამი კვირის მარაგი უკვე გვაქვს. მანქანებიც საკმარისი რაოდენობით არის. პრობლემა არც არსებული მარაგის ამოწურვის შემდეგ შეიქმნება, ნელ-ნელა შევიძენთ. მართალია, აღნიშნული ღონისძიებისთვის ბიუჯეტში მიზნობრივი თანხები არ დევს, მაგრამ საჭირო სახსრებს სხვადასხვა მუხლებიდან ავიღებთ,"** - დაგვაიმედა სუბელიანმა სამი თვის წინათ და გვაიმედებს დღესაც - **"ასეთი სამუშაო პირობები კეთილმოწყობის სამსახურს, დიდი ხანია, არ ჰქონია... 325 ტონა ტექნიკური მარილი გვაქვს და დამატებით 100 ტონასაც შევიძენთ. ნიჩბიანი მანქანები და მუშახელიც არ გვაკლია."**

ასეთი განცხადებების ფონზე კი, რატომღაც, დედაქალაქის ქუჩებში ტრანსპორტი მაინც დიდი გაჭირვებით მოძრაობს. მგზავრები "მარშრუტკებს" საათობით ელიან. მეტრო ისეთი გადაჭედილია, ბევრისმნახველ თბილისელებს 90-იანი წლები ახსენდებათ. ჭედვაში მგზავრებს საფულეებიც უფრო ხშირად "ეკარგებათ". თუმცა, შედარებით ყოჩაღად მაინც ისევ მერიის მიერ უარყოფილი "მარშრუტკები" მოძრაობენ, ავტობუსებს აქა-იქ თუ შენიშნავთ.

**"ნუცუბიძის მეოთხე მიკრორაიონში მდებარე ავტოსადგომიდან ავტობუსები ვეღარ გამოგვყავს. თოვლიან გზებზე ავტობუსებს ხომ არ გავაფუჭებთ,"** - განმარტავს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ბესო ნათანაძე.

როგორც ჩანს, უკრაინული ავტობუსები (ჰოლანდიურზე აღარაფერს ვამბობთ) თოვლსა და ყინვაზე გათვლილი არ ყოფილა, ან, სანამ ჩვენამდე ჩამოიყვანდნენ, თოვლში სიარული დაავიწყდათ. **"უკრაინაშიც კი თოვს, მაგრამ იქ ქუჩებში თოვლი არ დევს, წმენდენ,"** - ავტობუსებს ამართლებს ნათანაძე.

კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოადგილეს სულაც არ ეთანხმება. **"მარილსაც ვყრით და ქუჩებსაც ვწმენდთ. თუ დააკვირდებით, ყველგან ნახავთ მოგროვილ თოვლს, მაგრამ ეფექტი იმიტომ არ ჩანს, რომ შეუჩერებლად თოვს, რამდენჯერაც გავწმინდეთ, იმდენჯერ დაათოვა,"** - განმარტავს სუბელიანი.

**"სულ ორი-სამი დღეა, რაც თოვს და ასეთი პრობლემა შეიქმნა. მაშ, რუსეთში რა უნდა ქნან? ჩვენს ქუჩაზე ვერც მოგროვილ თოვლს ვხედავთ და ვერც გაწმენდილ გზას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ასეა. მარილი კი მოაყარეს, მაგრამ ბევრი ვერაფერი უშველა,"** - გვითხრეს ჭონქაძის ქუჩის მცხოვრებლებმა.

უგაზობა-უშუქობა-უგზოობაში გამოსავალი მხოლოდ პატარებმა იპოვეს. ციგები გამათბობლების როლსაც ასრულებს და გადაადგილების ყველაზე უსაფრთხო, სწრაფი და მხიარული საშუალებაც არის.

# ხმამაღალი განცხადება და მისი უკუეფექტი

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია აგრძელებს საბაჟო ტერმინალ "ლილო-1"-ისა და "ოპიზას" მეწილეებისა და თანამდებობის პირებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევას. მათთან ერთად, გუშინ დეპუტატებმა ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროს პასუხიმგებელი პირებიც დაკითხეს. კერძოდ, კომისიას ჩვენებები მისცეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ილია გოცირიძემ, ამავე უწყების ქონების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი თოდუამ, ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვახო ჯორბენაძემ და სხვებმა.



პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია „ოპიზას" ნაცვლად პროკურატურაში „ლილო-1"-ის საქმეს აგზავნის.

დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრები რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ გაერკვიათ, რომელი უწყების მიზეზით შეფერხდა ტერმინალ „ლილო- 1"-ის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ქონების - 1 900 კვადრატული მეტრის ფართობის - საჯარო რეესტრში გატარება.

დეპუტატები ვარაუდობენ, რომ რომელიღაც რგოლმა სპეციალურად შეაფერხა აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში გატარება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ იგეგმებოდა საბაჟოს ჯგუფის გადაყვანა ტერმინალ „ოპიზაში", რომელიც საბაჟო ადმინისტრაციას საკუთარ ტერიტორიას უფასოდ სთავაზობდა.

გუშინდელი მოსმენიდან ყველაზე საინტერესო იყო ტერმინალ "ლილო-1"-ს დირექტორის ავთანდილ თავაძის განცხადება იმის შესახებ, რომ საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლები იმპორტიორებს, რომლებიც საზღვარს გადმოკვეთენ, უცხადებენ, თითქოს, საბაჟო ტერმინალი „ლილო-1" აღარ ფუნქციონირებს და მას ლიცენზია ჩამორთმეული აქვს.

**„იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იმპორტიორს მანქანა „ლილო-1"-ის ტერიტორიაზე შემოჰყავდა, შემდეგ კი ტერმინალ „ოპიზაში" ან „ნატახტარში გადაჰყავდა",** - აღნიშნა "ლილო-1"-ის დირექტორმა.

ავთანდილ თავაძის თქმით, ის ორი დღის განმავლობაში შეხვდება იმპორტიორებს და შეეცდება მათ დარწმუნებას, რომ დროებით საგამოძიებო კომისიასთან ითანამშრომლონ და საბაჟო დეპარტამენტის იმ წარმომადგენლების კონკრეტული გვარები დაასახელონ, რომლებიც მათ მცდარ ინფორმაციას აწვდიდნენ.

ამ ფაქტით, ცხადია, თავად კომისიის წევრებიც დაინტერესდნენ და შეცდომაში შეყვანილი იმპორტიორების დაკითხვა მოითხოვეს.

თუმცა, ავთანდილ თავაძის გუშინდელ ხმამაღალ განცხადებას უკუეფექტიც მოჰყვა: პარლამენტარ ნუგზარ შოშიაშვილის მოთხოვნით, დროებითი საგამოძიებო კომისია „ლილო-1"-ის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებს გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნის. შოშიაშვილის თქმით, „ლილო-1"-ს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფოს წინაშე 1,8 მილიონი ლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა და ეს იმ პირობებში მოხდა, როდესაც საბაჟო ტერმინალ „აღმოსავლეთის" ადმინისტრაცია და საბაჟო გაფორმების ჯგუფი „ლილო-1"-ში იყო განთავსებული.

# სანთლით საძებარი აირი და ნავთი

## დღე მეხუთე - ენერგოსისტემა ავარიულ ზღვარზე

*უკვე მეხუთე დღეა, საქართველოს ენერგოსისტემა ავარიულ ზღვარზე მუშაობს. გუშინ, დედაქალაქის გაზმომარაგებაში შექმნილ კრიზისს, ელექტროენერგეტიკის სექტორში მომხდარი სისტემური ავარია დაერთო: ავარიულად გამოირთო 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „იმერეთი", რამაც ავტომატურად გათიშა მე-9-ე ენერგობლოკი. შედეგად, დედაქალაქს ბუნებრივ აირთან ერთად ელექტროენერგიის მიწოდებაც შეუწყდა. მწვავე ენერგოკრიზისია რეგიონებშიც. გუშინ კახეთში დენი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებსაც ვერ მიეწოდებოდა. კონკრეტულ ვადებს, თუ როდისთვის მოხდება ქვეყნის სრული ელექტრომომარაგების აღდგენა, გუშინ ვერ ასახელებდნენ.*

დიანა ჩაჩუა

500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის, „იმერეთის" ავარიულად გამორთვის გამო, გუშინ დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. მე-9-ე ენერგობლოკის გამორთვამ კი სისტემას დამატებით 250 მეგავატი სიმძლავრე წაართვა.

გუშინ ენერგეტიკოსებმა სისტემაში მე-4-ე ენერგობლოკის გაშვება შეძლეს. როგორც ისინი აცხადებდნენ, ეს ფაქტი, მართალია, მე-9-ე ენერგობლოკის მიერ წარმოქმნილ დეფიციტს ვერ დააბალანსებს, მაგრამ შექმნილ კრიზისს მნიშვნელოვნად შეასუსტებს. კერძოდ, თავიდან ენერგობლოკი 50 მეგავატი სიმძლავრით მუშაობდა. დღის ბოლომდე კი მის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე 120 მეგავატამდე უნდა გაზრდილიყო. ამით შესაძლებელი გახდა თბილისში ელექტროენერგია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების გარდა, მომხმარებლებსაც მიეღოთ, ოღონდ - მკაცრი გრაფიკით.

შ.პ.ს. „მტკვარი ენერგეტიკის" სპეციალისტები მე-9-ე ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის შემდეგ სარემონტო სამუშაოებს ნახევარ საათში შეუდგნენ. გუშინდელი პროგნოზით, სამუშაოების დასრულება და მე-9-ე ენერგობლოკის სისტემაში მიერთება დღეს საღამოსთვის უნდა მოხერხდეს.

გუშინ ენერგეტიკის სამინისტროში ელექტროენერგიის ალტერნატიულ წყაროებს ეძებდნენ. ქართველმა ენერგეტიკოსებმა ხსნას კვლავ აზერბაიჯანში მიაგნეს, საიდანაც გუშინ, გადამცემი ხაზის „გარდაბანის" მეშვეობით, თბილისში 60 მეგავატი სიმძლავრის იმპორტი განხორციელდა. როგორც გუშინ გვარწმუნებდნენ, იმპორტი ღამის საათებში 100 მეგავატამდე უნდა გაზრდილიყო. გუშინ ასევე ზუსტდებოდა სომხეთიდან ელექტროენერგიის მოწოდების რაოდენობა და დრო.

აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისში გუშინ, დილიდან ელექტროენერგია მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს მიეწოდებოდა. დედაქალაქის თითქმის ყველა უბანი ელექტროენერგიის გარეშე იყო დარჩენილი. კახეთში კი დენი არც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს მიეწოდებოდა.

სტეფანწმინდის რაიონში, ტყის მასივების არარსებობის გამო, მოსახლეობისთვის გათბობის ერთადერთი საშუალება ბუნებრივი აირი იყო, რომლის მიწოდებაც მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი დივერსიისა და აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდების მოცულობის შემცირების შემდეგ შეწყდა. საქართველოს მთავრობამ ბუნებრივი გაზის გარეშე დარჩენილი ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობა გუშინ სამი დღის საკმარი დიზელის საწვავით მოამარაგა. რეგიონის ხელმძღვანელობა ახალგორისა და დუშეთის რაიონების გამგეობებს მოსახლეობისთვის შეშის დამზადების შესახებაც შეუთანხმდა. ცნობისათვის, რაიონში ყინვა 20 გრადუსს აღწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას კიდევ ერთი პრობლემა ელის - გაძვირებული და დეფიციტური ნავთი. მთავრობამ უკვე მიმართა ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს თხოვნით, ქვეყანაში ნავთის დამატებითი იმპორტი განახორციელონ. **„შარშანდელი ზამთრის შემდეგ წლევანდელი ზამთრისთვის ნავთის იმპორტი დღის წესრიგში აღარ იდგა. შესაბამისად, დამატებით ძალისხმევაა საჭირო, რომ ეს რესურსი მოვიზიდოთ,"** - განაცხადა გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

თბილისის მერია დედაქალაქის სხვადასხვა უბნების შეშით მომარაგებას აგრძელებს. გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსახლეობას გუშინ საღამოს მეტროსადგურ „ახმეტელთან" შეშის მინიმალურ ფასად შეძენის შესაძლებლობა ჰქონდა. მოსახლეობას შეშას გადასცემენ ასევე ისანი-სამგორის რაიონში. შეშა უკვე შეტანილია გლდანის, ნაძალადევის, ისნისა და სამგორის რაიონებში.

რაც შეეხება თბილისის გაზმომარაგებას, აზერბაიჯანიდან საქართველოს დღე-ღამეში 2-მილიონ-ნახევარი კუბური მეტრი გაზი მიეწოდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს, რომელსაც ამჟამად ბუნებრივი აირი მიეწოდება, გაზმომარაგება შეუნარჩუნდება.

გუშინ ნიკა გილაური საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მოწოდების ალტერნატიული გზის მოსაძებნად კვლავ თეირანში გაემგზავრა. როგორც ხელისუფლებაში აცხადებენ, ამ ეტაპზე ირანული გაზის ფასს იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც გაზის მოწოდების დაწყებას.

სიახლეა მოზდოკი-თბილისის გაზსადენთან დაკავშირებითაც. რუსული მხარის ცნობით, მოზდოკი-თბილისის გაზსადენზე ახალი დაზიანებებია აღმოჩენილი, რომელიც მილის კიდევ ერთი, 9-მეტრიანი სეგმენტის შეცვლას მოითხოვს. ახლახან აღმოჩენილი დაზიანების აღმოფხვრის დრო ჯერჯერობით უცნობია.

სარემონტო სამუშაოები გრძელდება გაზსადენის სათადარიგო მილზეც. „გაზპრომმა" გაზსადენის დაზიანებული მონაკვეთის კონსერვაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ცნობისათვის, სათადარიგო მილსადენი საქართველოს მხრიდან უკვე შედუღებულია და იქ დამხშობია დაყენებული.

რაც შეეხება, ყარაჩაი-ჩერქეზეთში ხუთი დღის წინ დაზიანებულ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონს", საინფორმაციო სააგენტო „ტრენდის" ცნობით, „საქრუსენერგოს" სპეციალისტებმა „კავკასიონზე" ახალი მოწყობილობები უკვე აიტანეს. სამუშაოები კი ახლო მომავალში დაიწყება და, დაახლოებით, ათ დღეში დასრულდება.

# ქარიშხალმა იმერეთი ჩააბნელა

პირველი გვერდიდან

**"სასიცოცხლო ობიექტები, შეძლებისდაგვარად, პრიორიტეტულად მარაგდება ელექტროენერგიით ქუთაისსა და მთელ იმერეთში. აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შედეგად მოხერხდა 110 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის "გეგუთის" ჩართვა, რაც საშუალებას გვაძლევს ქუთაისში ელექტროენერგიის მიწოდება 20 მეგავატამდე გავზარდოთ. გადამცემ ხაზ "იმერეთზე" აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას ძლიერი ქარი და ინტენსიური თოვლი უშლის ხელს,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" იმერეთის ფილიალის მენეჯერი შალვა რუხაძე.

ძლიერმა ქარმა ქუთაისში სხვა პრობლემებიც წარმოშვა. ქარიშხლის შედეგად ქალაქის სხვადასხვა უბანში ათეულობით ხე წაიქცა. დაზიანდა როგორც საცხოვრებელი სახლები, ისე ელექტროსადენები, საიადანაც მოსახლეობას ელექტრენერგია მიეწოდება. რამდენიმე ადგილზე ხანძარიც გაჩნდა.

**"დილით რომ გავიღვიძეთ, ვნახეთ, ჭადარი იყო წაქცეული და მთელი ელექტროსადენები ჰქონდა ჩაწყვეტილი. ხუთი დღეა, გაზი არა გვაქვს და ახლა დენიც გაგვეთიშა. ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, ყველანი ყინვისგან დავწყდებით,"** - აცხადებენ ალმაშენებლის ქუჩის მცხოვრებნი.

**"ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე დაგვემართა ამ ხეების წაქცევით, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნება დაგვრთო, დავხერხოთ ეს ხეები და შინ წავიღოთ. იქნებ, ამ შეშით ერთ-ორი დღე მაინც გავიტანოთ თავი,"** - ამბობენ რუსთაველის ქუჩის მცხოვრებნი.

შექმნილი პრობლემების გამო ქუთაისის მერიაში საგანგებო შტაბი შეიქმნა, რომელმაც ქალაქში თხევადი გაზის, ნავთისა და შეშის მარაგის შემოტანაზე უნდა იზრუნოს. აღნიშნულ პროდუქტებზე ფასების ხელოვნურად ზრდაზე მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, ქუთაისში ნავთის ღირებულება 1,40 ლარიდან 2 ლარამდე ავიდა. 3-დან 4,5 ლარამდე გაიზარდა ერთი ტომარა შეშის ფასიც.

მკაცრი კლიმატური პირობებისა და შექმნილი პრობლემების გამო სასწავლო პროცესი შეწყდა ქუთაისის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურისა და საჩხერის სკოლებში.

**"დიდთოვლობისა და ქარიშხლის შედეგად მოძრაობა შეწყვეტილია ტყიბულის, ხარაგაულისა და საჩხერე-ჭიათურის მიმართულებით, რადგან აღნიშნულ ადგილებში გამწმენდი სამუშაოების ჩატარება უამინდობის გამო ვერ ხერხდება. საპატრულო პოლიციის დახმარებით შესაძლებელი გახდა გუშინ საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში დიდთოვლობის შედეგად ჩარჩენილი მგზავრების გამოყვანა",** - აცხადებს იმერეთის ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია "24 საათთან" საუბარში.

ძლიერ ყინვებსა და თოვლს ქუთაისსა და იმერეთის რაიონებში სინოპტიკოსები კვირის ბოლომდე ვარაუდობენ.

**"მთელი ცხოვრება წიგნების შეძენის მეტი არაფერი მიკეთებია, შვილო, და ამ დღეების მანძილზე თითქმის მთელი ბიბლიოთეკა ღუმელში დავწვი. ხვალიდან უკვე რითი გავთბები და რა მეშველება, აღარ ვიცი,"** - ამბობს ბარათაშვილის ქუჩაზე მცხოვრები ლიანა კლიმენკო "24 საათთან" საუბარში.

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის რეგიონულ ოფისში აცხადებენ, რომ ინტენსიური სარემონტო სამუშაოების შედეგად რეგიონში ენერგომომარაგების გაუმჯობესებას ერთ დღეში მოახერხებენ. სს "ქუთგაზის" გენერალური დირექტორის ტარიელ კობახიძის თქმით კი, ბუნებრივი აირის მიწოდება ქუთაისის მოსახლეობას ცენტრალურ მაგისტრალზე ავარიის ლოკალიზებიდან ოთხი დღის შემდეგ აღუდგება.

## მოკლედ

### „საქართველოს რკინიგზა" შეფერხებების გარეშე მუშაობს

ენერგოკრიზისის მიუხედავად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლა აღდგენილია. რკინიგზის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას განცხადებით, გვიან ღამით მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო შექმნილი ყველა ხარვეზი გამოსწორებულია. „დეპარტამენტს ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაშიც კი გააჩნია სარეზერვო გეგმა. დატვირთულია თბომავლების სრული შემადგენლობა, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრების უსაფრთხო და შეუფერხებლად გადაადგილებას უზრუნველყოფს," - განაცხადა ეზუგბაიამ. **ინტერპრესნიუსი**

### სასწავლო პროცესი 30 იანვრამდე შეწყდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სწავლა შეწყდება თბილისში, ქუთაისში და ფოთში, ასევე ქვემო ქართლის რეგიონში და თელავის, ლაგოდეხის, ჭიათურის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერისა და ნინოწმინდის რაიონების საშუალო სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სასწავლო პროცესი 30 იანვრამდე შეწყდება. მინისტრ ალექსანდრე ლომაიას განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მძიმე კლიმატურმა პირობებმა და ქვეყანაში გაზისა და ნავთობის მომარაგების მხრივ შექმნილმა პრობლემებმა გამოიწვია. მინისტრის თქმით, სწავლის პროცესის შეწყვეტის თხოვნით, მას ამ რეგიონების წარმომადგენლებმა გუშინ დილით მიმართეს. ალექსანდრე ლომაიას განცხადებით, დღეიდან თბილისის 140 სკოლას, რომლებიც დიზელის საწვავით თბება, სამინისტრო უფასოდ მოამარაგებს 420 ათასი ლიტრი საწვავით. **ინტრეპრესნიუსი**

### ნინო ბურჯანაძე სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა

გუშინ დაიწყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სამუშაო ვიზიტი ბრიუსელში, სადაც ის მონაწილეობას მიიღებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში. სხდომაზე ეუთოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგისა და ეფექტურობის გაძლიერებაზე იმსჯელებენ. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში შექმნილი სტრუქტურების - აფხაზეთის საკითხთა შემსწავლელი და გენდერულ საკითხთა მუდმივმოქმედი ჯგუფების - რეგლამენტში საქმიანობის პროცედურა არ არის დეტალურად გაწერილი, რამაც დღის წესრიგში ეუთოს რეგლამენტის გადასინჯვის საკითხი დასვა. ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ბრიუსელში 29 იანვარს დასრულდება. **მედიანიუსი**

### ხაშურის რაიონში გრიპის ვირუსი არ აღმოჩნდა

სახელმწიფო ვეტერინარულ ლაბორატორიაში ხაშურის რაიონში დახოცილი ფრინველის ექსპერტიზა დასრულდა. ვირუსოლოგიურმა გამოკვლევამ ფრინველის გრიპის ვირუსის არსებობა გამორიცხა. ამჟამად სამ ქათამს ბაქტეორლოგიური ანალიზი გორის შტაბში უტარდება. "რაც მთავარია, ფრინველის გრიპის შემთხვევა არ დადასტურდა. ფრინველის სიკვდილის მიზეზს ადგილობრივ ლაბორატორიაში დავადგენთ," - განაცხადა ფრინველის გრიპთან ბრძოლის გორის შტაბის ხელმძღვანელმა პაატა კუდუხაშვილმა. შინაური ფრინველი ხაშურში, შათირიშვილების ოჯახში გუშინ დაიხოცა. მკვდარ ფრინველს ფეხებზე სილურჯე და ბიბილოებზე სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა. ამ კლინიკურმა ნიშნებმა ვეტერინარებში გრიპის არსებობის შესახებ ეჭვი აღძრა. **მედიანიუსი**

### კახეთში დენი სასიცოცხლო ობიექტებსაც არ მიეწოდება

როგორც კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, ელექტროენერგიით არც ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი არ მარაგდება. "იმერეთში ელექტროგადამცემ ხაზზე მომხდარი ავარიის გამო აღმოსავლეთ საქართველოს დენი შუზღუდვით მიეწოდება, ხოლო კახეთის რეგიონში სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებიც კი არ მარაგდება. ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის აღდგება გადამცემი ხაზი, შესაბამისად, ვერც იმას განვსაზღვრავთ, როდის დაიწყება კახეთის რეგიონის ენერგომომარაგება," - განაცხადა ცისკარიშვილმა. **მედიანიუსი**

### დიდთოვლობამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაობა შეაფერხა

დიდთოვლობამ დედაქალაქში პრობლემები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებსაც შეუქმნა. როგორც "03"-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან ტურძელაძემ განაცხადა, გაუწმენდავ აღმართიან ქუჩებზე სასწრაფო დახმარების მანქანები ასვლას ვერ ახერხებენ. "ბოლო ორი დღის განმავლობაში ხშირად ხდება, რომ 03-ის ბრიგადა გამოძახების ადგილამდე ვერ მიდის. ამის ძირითადი მიზეზი თოვლისგან გაუწმენდავი გზებია. განსაკუთრებით დიდი პრობლემები იქმნება ნაძალადევში, ლოტკინზე, კუკიაზე, ნუცუბიძის ფერდობზე, თემქაზე და შემაღლებულ ადგილზე არსებულ სხვა დასახლებებში. სასწრაფო დახმარების მანქანებს სწრაფად მოძრაობა დედაქალაქის ცენტრშიც უჭირთ. ასეთ შემთხვევაში, 03-ის ბრიგადა პაციენტს ურეკავს და შესაძლო დაგვიანების შესახებ აცნობებს," - განაცხადა ლევან ტურძელაძემ. მისივე ინფორმაციით, 5-10 პროცენტით მოიმატა გამოძახებების რიცხვმაც. თოვლის გამო გაიზარდა ტრავმული დაზიანებების შემთხვევები. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# გენერალთა სახიფათო თამაშები

პირველი გვერდიდან

მაგრამ, ძნელი დასაჯერებელია, რომ გენერალს, რომლის სარდლად დანიშვნა პირადად ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით მოხდა, პენსიაზე გასვლა ასე სარეკორდოდ მოკლე დროში ეჩქარა. მით უფრო, რომ მას პრეზიდენტმა დაავალა სამობილიზაციო გეგმაზე მუშაობა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რის შედეგადაც ეროვნული გვარდია შეიცვლიდა ფუნქციას და პირადად პრეზიდენტს - ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს დაექვემდებარებოდა. გეგმები რომ სერიოზული იყო, ეს ჩვენთან საუბარში დაადასტურა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ, რომელიც ასევე განცვიფრებულია თათუხაშვილის მოულოდნელი გადაწყვეტილებით.

**"მე სააკაშვილმა მითხრა, რომ გვემუშავა მობილიზაციის კანონზე. გოგის უკვე შერჩეული ჰოქნდა ვარიანტი და უნდა დაგვეწყო მუშაობა. მისი გადაგომის შესახებ სულ ახლახან, არაოფიციალური არხებით შევიტყვე,"** - ამბობს გივი თარგამაძე.

რაც შეეხება ოფიციალურ ვერსიას, გენერლის გადაგომის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ეროვნული გვარდიის შტაბზე დაყრდნობით ადასტურებს. ეროვნულ გვარდიაში კი, თავდაცვის მინისტრის ნებართვის გარეშე, ოფიციალური კომენტარის მიცემას ვერავინ ბედავს.

არაოფიციალურად და კულაურებში კი საუბრობენ იმაზე, რომ გენერალი თათუხაშვილი თავიდანვე მიულებელი იყო თავდაცვის მინისტრისათვის და დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში ერთხელაც არ შეხვედრია. მისი სარდლად წარდგენის დროს კი საერთოდ კურიოზი მოხდა: თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თათუხაშვილს უფლება არ მისცეს, ეროვნული გვარდიის შტაბში დაეპატიჟებინა უცხოელი სამხედრო ექსპერტები და მას-მედია.

### ბრძოლა პრეზიდენტის ერთგულებისათვის

დაპირისპირება თავდაცვის მინისტრის გუნდსა და გიორგი თათუხაშვილს შორის მანამდე წარმოიშვა, ვიდრე ეს უკანასკნელი ეროვნული გვარდიის სარდლად დაინიშნებოდა.

აზრთა სხვადასხვაობას კი იწვევდა შემდეგი მიმართულებები:

- გიორგი თათუხაშვილი არასწორად მიიჩნევდა რეზერვის მომზადების არსებულ ფორმას, როდესაც სარეზერვო ერთთვიან შეკრებას გადიოდნენ წვევამდელებიც და სამხედრო სამსახურგავლილი მოქალაქეებიც;
- მან რამდენჯერმე ამხილა სამხედრო მეთაურები სამხედრო ტექნიკის არასწორი ექსპლუატაციისა და ჯარისკაცებისათვის კუთვნილი ულუფების დატაცების გამო;
- უპირისპირდებოდა მოძველებული სამხედრო ტექნიკის შესყიდვას საზღვარგარეთ და თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ოფიცერთა მოზადების ოთხწლიანი პროგრამის ნაცლად ერთწლიანი კურსების შემოღებას;
- გენერალი თათუხაშვილი მხარს არ უჭერდა პროფესიონალი და სამხედრო კონფლიქტებში გამოწრთობილი ოფიცრების სამხედრო სიტემიდან დათხოვნას, რამაც ოქრუაშვილის მინისტრობის დროს მასშტაბური სახე მიიღო.

პრეზიდენტის ერთგული გენერალი, ვინც იცის, თუ რა საშიშია სახელმწიფოსათვის გამოცდილი ოფიცრების ყოველგვარი სოციალური გარანტიების გარეშე შემცირება და ქუჩაში გაყრა, ცდილობდა, შემოეკრიბა ისინი ჯერ კიდევ შინაგანი ჯარების სარდლად მუშაობის პერიოდში და მოგვიანებით, როცა შინაგანი ჯარები თავდაცვის სამინისტროს მე-4 ოპერატიულ ბრიგადად გადაკეთდა. ამ პრინციპის გატარებას იგი ეროვნული გვარდიის სარდლად მუშაობის დროსაც აპირებდა.

- თათუხაშვილმა პირველსავე თათბირზე სამხედრო უწყების ხელმძღვანელობას იმის გამოც უსაყვედურა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, მათ არ აღნიშნეს ეროვნული გვარდიის დაარსების მე-15 წლისთავი 2005 წლის 21 დეკემბერს და პატივი არ მიაგეს ამ პირველი ქართული შენაერთის სახელით დაღუპული მეომრების ხსოვნას.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სერიოზული გამოწვევა გახლდათ. გარდა ამისა, არსებობს ვერსია, რომ მინისტრი ოქრუაშვილი ქართულ პრესაში გამოჩენილმა პუბლიკაციებმა ძალიან გაანაწყენა და ბევრ მათგანს თათუხაშვილის კარნახით დაწერილადაც მიიჩნევდა. სტატიებში თათუხაშვილი მოიხსენიებოდა, როგორც პრეზიდენტ სააკაშვილის ფავორიტი, რომელიც სულ მალე დაიკავებდა გენერალური შტაბის უფროსის პოსტს და ნელ-ნელა შეავიწროვებდა თავდაცვის მინისტრსა და მის გუნდს.

ჩანს, ქართული პრესის ვარაუდი არ გამართლდა - სულ მალე შევიწროვებული თავად თათუხაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც გადაგომის შესახებ პატაკი დაწერა და, სამხედრო ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ფაქტობრივად, უბრძოლველად გაეცალა ასპარეზს. ახლა ყველა იმის მოლოდინშია, თუ რას იტყვის ამ ყველაფერზე შვეიცარიიდან დაბრუნებული საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც, ვიზიტი, როგორც ამბობენ, არა მხოლოდ მწვავე ენერგეტიკული კრიზისის, არამედ სამხედრო სისტემაში მიდინარე ამ მწვავე დაპირისპირების გამოც შეწყვიტა.

# ლიზინგი საქართველოში - კანონი და პერსპექტივა

˝კლიენტების 60-მა პროცენტმა ახალ პროექტზე განაცხადით უკვე მოგვმართა˝

*საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტრუმენტის ამოქმედება სჭირდება. ქართველმა მეწარმეებმა ჯერ კიდევ არ იციან ლიზინგის დადებითი მხარეების შესახებ. მათთვის ეს საბანკო სესხის ალტერნატიული ფორმაა და მას გარკვეული უპირატესობები აქვს. 2004 წლიდან დღემდე საქართველოში მხოლოდ ორი სალიზინგო კომპანია - "თი-ბი-სი ლიზინგი" და "საქართველოს სალიზინგო კომპანია" - მოქმედებს. გაზეთ "24 საათის" კითხვებს, ლიზინგის მოთხოვნისა და მისი ბაზრის განვითარების შესახებ, სააქციო საზოგადოება "თი-ბი-სი ლიზინგის" დირექტორი თეა ლორთქიფანიძე პასუხობს.*

თინა შავაძე

**- მოქმედი კანონმდებლობა ხელს უშლის ლიზინგის განვითარებას. ამბობენ, რომ კანონები ბუნდოვანია. როგორია თქვენი შეფასება.**

- არსებულ კანონმდებლობაში ბევრი ხარვეზია, რომლებიც ლიზინგის დაბეგვრის სისტემას ბუნდოვანს ხდის. ეს ბუნდოვანი საკითხები, ძირითადად, სალიზინგო კომპანიის საქმიანობის დაბეგვრას შეეხება. უმეტესად ამ მიზეზით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ქართულ ბაზარზე დღეისათვის მხოლოდ ორი სალიზინგო კომპანია მუშაობს. გარდა ამისა, საკანონმდებლო ხარვეზები შეუძლებელს ხდის არასამეწარმეო მიზნებისთვის მსუბუქი ავტომანქანების ლიზინგს, რაც მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

**- თუ არსებობს კანონმდებლობის სათანადო ცვლილებების პროექტი და რატომ არ ხერხდება მისი პარლამენტში განხილვა?**

- სალიზინგო ასოციაციის მიერ მომზადებულია საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებზე რეკომენდაციები. ამ ცვლილებების აუცილებლობას ეთანხმება მთავრობაც და აცხადებს, რომ უახლოეს პერიოდში შეიტანს პარლამენტში შესაბამისი ცვლილებების პაკეტს.

**- ახალი ხელისუფლების დროს ლიზინგის განვითარებისთვის რაიმე ხელშემწყობი ღონისძიებები თუ განხორციელდა?**

- ხელშემწყობი ღონისძიებები არ განხორციელებულა. ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებმა რამდენიმეჯერ დააფიქსირეს მზადყოფნა, გაითვალისწინონ ლიზინგის ბიზნესის პრობლემები და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში ეს პრობლემები გადაიჭრება.

**- კომპანიები ამ საფინანსო ინსტრუმენტს, ძირითადად, რის შესაძენად გამოიყენებენ?**



˝თი-ბი-სი ლიზინგის˝ დირექტორი თეა ლორთქიფანიძე.

- საწარმოო დანადგარების (მსუბუქი და კვების მრეწველობის სექტორში), სატვირთო და მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების, სამშენებლო ტექნიკის, სამედიცინო და კავშირგაბმულობის აპარატურის, პოლიგრაფიული დანადგარების და ა.შ.

**- ამჟამად როგორ არის გადანაწილებული მოთხოვნა ლიზინგურ მომსახურებაზე მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს შორის?**

- მოთხოვნა ლიზინგზე მაღალია ყველა ტიპის საწარმოებიდან. კონკრეტულ პროცენტულ განაწილებაზე სტატისტიკა არ არსებობს. რაც შეეხება "თიბისი ლიზინგის" პორტფელს, კლიენტების 15 პროცენტი წვრილი საწარმოებია, 55 პროცენტი - საშუალო ზომის, 30 პროცენტი კი - მსხვილი კომპანიები.

**- რატომ გახდა მცირე და საშუალო ბიზნესი ლიზინგის აქტიური მომხმარებელი?**

- ლიზინგი ფინანსირების მოსახერხებელი ფორმაა ყველა ზომის კომპანიისათვის, თუმცა განსაკუთრებით მიმზიდველია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის, რომელთათვისაც ხელმისაწვდომობა საბანკო სესხზე შეზღუდულია.

**- დამწყები ბიზნესისთვის ამ გზით მანქანა-დანადგარების შესყიდვა რატომ არ არის ხელმისაწვდომი?**

- ამ ეტაპზე სალიზინგო კომპანიები მართლაც ერიდებიან დამწყები ბიზნესის ფინანსირებას. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის ფაქტი, რომ საქართველოში მანქანა-დანადგარების რეალიზაციის მეორადი ბაზარი არ არის განვითარებული და სალიზინგო კომპანიები იძულებულები არიან, ფინანსირებაზე გადაწყვეტილების მიღებისას კლიენტის ფინანსურ მდგომარეობას დაეყრდნონ და არა შესასყიდი აქტივის ლიკვიდურობას.

**- რომელ დარგებში წარმოადგენს ლიზინგი ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტს?**

- განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების 80 პროცენტი იყენებს ლიზინგს, როგორც ძირითადი საშუალებების შესყიდვის ფინანსურ ინსტრუმენტს. "თიბისი ლიზინგის" პორტფელის დარგობრივი განაწილება შემდეგნაირია:
მშენებლობა (მათ შორის გზების მშენებლობა) - 25 პროცენტი; მსუბუქი მრეწველობა - 14 პროცენტი; სატრანსპორტო გადაზიდვები - 14 პროცენტი; პოლიგრაფია - 12 პროცენტი; კვების მრეწველობა - 12 პროცენტი; ვაჭრობა - 10 პროცენტი; სამედიცინო მომსახურება - 6 პროცენტი; კავშირგაბმულობა - 5 პროცენტი; სხვა - 2 პროცენტი.

**- მეწარმეები ამბობენ, რომ ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი, საბანკო კრედიტთან შედარებით, უფრო მაღალია. ამის მიუხედავად, რატომ არის მასზე დიდი მოთხოვნა?**

- ისევე, როგორც ყველა განვითარებად ბაზარზე, საქართველოშიც ნებისმიერი ტიპის ფინანსირების ღირებულება საკმაოდ მაღალია. ამას დაერთო ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა. რაც შეეხება კონკრეტულად ლიზინგს, კლიენტი იხდის ლიზინგით მიღებული მანქანა-დანადგარებით სარგებლობის საზღაურს და ამ აქტივებიდან მიღებული ეფექტი ყოველთვის მნიშვნელოვნად აღემატება სალიზინგო გადასახადს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ სალიზინგო კომპანია, ბანკთან შედარებით, თავის თავზე მაღალ რისკებს იღებს და დამატებით უზრუნველყოფას არ ითხოვს; ლიზინგის დროს მუშაობს დღგ-ს განვადებით გადახდის სქემა (აქტივის შეძენისას გადასახდელი დღგ განაწილებულია ლიზინგის მთელ პერიოდზე), რაც დამატებით ფინანსურ ეფექტს იძლევა; სალიზინგო კომპანია ეხმარება კლიენტს დანადგარის შესყიდვის პროცესის ორგანიზებაში (მომწოდებელთან, სატრანსპორტო კომპანიასთან, საბაჟო სტრუქტურებთან ურთიერთობაში). მეწარმისათვის ლიზინგით ფინანსირების ეფექტურობის საუკეთესო დასტურია ის ფაქტი, რომ ჩვენი კლიენტების 60-მა პროცენტმა ახალ პროექტზე განაცხადით უკვე მოგვმართა.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი
„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".
თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).
ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.
ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.
ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე
8-10
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

უცხოეთი

## ბერეზოვსკი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ემზადება



ბორის ბერეზოვსკი, უკვე წელიწადნახევარია, რუსეთში "ძალისმიერი გზით ძალაუფლების ხელში აღებას" ამზადებს, - ამის შესახებ ლონდონში მცხოვრებმა რუსმა მილიარდელმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ბერეზოვსკის თქმით, მისი მიზანია ქვეყანაში „ანტიკონსტიტუციური რეჟიმის შეცვლა". ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, მეწარმე, მისივე თქმით, „საკუთარი, პატიოსნად ნაშოვნი სახრებით გეგმავს".

დევნილი ოლიგარქის აზრით, არსებულმა ხელისუფლებამ საკუთარი თავი კანონის მიღმა თავად დააყენა. **„რეჟიმმა საკუთარი ლეგიტიმურობა ყველა თვალსაზრისით დაკარგა. პუტინი და პარლამენტი არალეგიტიუმრები არიან. ისინი ანტიკონსტიტუციურნი არიან, რადგან რიგი პრინციპული ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება მიიღეს,"** - აღნიშნა ბერეზოვსკიმ და მაგალითად გუბერნატორების არჩევის წესის შეცვლა დაასახელა, რაც, მისი თქმით, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ბერეზოვსკი ვარაუდობს, რომ რუსეთში ხელისუფლება არცთუ შორეულ პერსპექტივაში შეიცვლება. **„სრულიად აშკარაა, რომ ეს რეჟიმი განწირულია და მინდა, რომ მისი კრახი უფრო ადრე დადგეს, ვიდრე რუსეთის დაშლა,"** - განაცხდა რუსმა მილიარდერმა. სხვათა შორის, ბერეზოვსკიმ ისიც გაიხსენა, რომ "1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლასაც ვერავინ წარმოიდგენდა". თანაც, თუ შევადარებთ, პუტინის რეჟიმი (ძალის თვალსაზრისით) გაცილებით სუსტია კომუნისტურზე, ამასთან მას (პუტინის რეჟიმს) არანაირი იდეოლოგია არ უმაგრებს ზურგს.

ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში მას „მომხრეთა უზარმაზარი რაოდენობის" იმედი აქვს. საკუთარი გეგმის გამოქვეყნებას კი ბერეზოვსკი ასე ხსნის: **„მნიშვნელოვანია, რუსეთში ადამიანებმა გაიგონ, რომ ფუჭი საუბრის დრო დასრულებულია და აქტიური მოქმედებებია საჭირო."**

*გრანი.რუ*

## ლუკაშენკოს რეჟიმს საერთაშორისო იზოლაცია ემუქრება

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გუშინ მიიღო რეზოლუცია ბელორუსის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს რეჟიმის იზოლაციის პარალელურად, აუცილებელია ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ოპოზიციის მხარდაჭერა.

სააგენტო "ინტერფაქსი" იტყობინება, რომ აღნიშნული რეზოლუციის თანახმად, „ლუკაშენკოს რეჟიმის" იზოლაციაში იგულისხმება ბელორუსი თანამდებობის პირებისთვის ვიზების გაცემის შეწყვეტა, ასევე, პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის საბანკო ანგარიშების და სხვა ფინანსური აქტივების გაყინვა. ამავდროულად, პასე წინადადებით გამოდის, გამარტივდეს სავიზო რეჟიმი რიგითი ბელორუსებისთვის, განსაკუთრებით სტუდენტებისთვის.

**"თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ბელორუსის ხელისუფლება გასაგებ სიგნალს მოგვცემს მზადყოფნის შესახებ, მიუახლოვდეს ევროსაბჭოს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, ასამბლეა მზად იქნება, ხელახლა გაუხსნას ურთიერთდახმარების შესაბამისი არხები,"** - ხაზგასმულია რეზოლუციაში.

გუშინ მიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბელორუსში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ვითარება კი არ გამოსწორდა, პირიქით - "გაუარესდა და გამოხატვის თავისუფლება აშკარად იზღუდება". ასეთ პირობებში, ბელორუს ხალხს საშუალება არ აქვს, პოლიტიკური აზრის ფორმირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია მიიღოს და დემოკრატიული არჩევანი გააკეთოს მომავალ არჩევნებში, - ნათქვამია პასე-ს მიღებულ დოკუმენტში.

პარლამენტარებმა ბელორუსს უარი უთხრეს ასამბლეაში „სპეციალურად მიწვეულის" სტატუსის დაბრუნებაზე, რომელიც მან 1997 წელს დაკარგა.

რეზოლუციის განხილვისას სიტყვა ორივე მხარეს მიეცა - ბელორუსის ოპოზიციის წარმომადგენელს ალექსანდრ მელენკევიჩს და პარლამენტის სპიკერ ვლადიმირ კონოპლეს, რომელიც ოფიციალური მინსკის სახელით გამოვიდა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ესპანეთი.** ხუთშაბათს ღამით ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბასკურ ქალაქებში ზუიასა და ბალმასედაში აფეთქებები განხორციელდა. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, აფეთქებების შედეგად დანგრეულია ფოსტისა და სასამართლოს შენობები, თუმცა არავინ დაშავებულა.

"ორივე შემთხვევის დროს ბასკურმა ტერორისტულმა ორგანიზაცია ეტა-მ გამოიყენა მცირე მუხტის მქონე ასაფეთქებელი მექანიზმები," - აცხადებს პოლიცია. საგულისხმოა, რომ ორივე ქალაქში ერთ და იგივე მახასიათებლების 3-5 კგ ასაფეთქებელი ნივთიერებით დამუხტული ბომბები ამოქმედდა. ასევე, ორივე შემთხვევაში გამოყენებული იყო საათიანი დეტონატორი. **24 საათი**

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** გაერთიანებული სამეფო ავღანეთში დამატებით 3,3 ათასი სამხედროს გაგზავნას აპირებს, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში განთავსდებიან. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯონ რეიდმა. მისივე თქმით, აღნიშნული ქვედანაყოფი უკვე ივლისისთვის იქნება მზად, შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები. **როიტერსი**

■ ■ ■

**ბალკანეთი.** ხუთშაბათს, ადგილობრივი დროით დაახლოებით 15.00 საათზე, კოსოვოს ადმინისტაციულ ცენტრ პრიშტინაში გარდაცვლილი პრეზიდენტის იბრაჰიმ რუგოვას დაკრძალვა გაიმართა. სამგლოვიარო ცერემონიალს უცხოური ქვეყნების 40 დელეგაციის წარმომადგენელი ესწრებოდა.

სიტყვით გამოვიდნენ კოსოვოში გაერო-ს ადმინისტრაციის მეთაური სორენ იასენ-პეტერსენი, მხარის პრემიერ-მინისტრი ბაირამ კოსუმი, ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა, აშშ-ს სპეციალური წარგზავნილი ალფონსო ჯექსონი და სხვები.

შეგახსენებთ, კოსოვოს ალბანელი პრეზიდენტი, 61 წლის იბრაჰიმ რუგოვა, რომელმაც ცხოვრების 15 წელიწადი დომინანტი სერბეთისაგან კოსოვოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლას შესწირა, შაბათს პრიშტინაში საკუთარ რეზიდენციაში გარდაიცვალა. პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ქვეყნის გარდამავალი კონსტიტუციის შესაბამისად, დროებით ასრულებს პარლამენტის სპიკერი ნეჯათ დაცი. **24 საათი**

მოკლედ

### სამართალდამცველები ენერგეტიკული პრობლემის დაძლევაში ჩართონენ

საქართველოში შექმნილი ენერგოკრიზისის დარეგულირებაში ძალოვანი სტრუქტურები ჩაერთვნენ. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გუშინ თბილისის მერთან, გიგი უგულავასთან დახურული თათბირი გამართეს. შეხვედრის შემდეგ გენპროკურორმა კომენტარი არ გააკეთა, თბილისის მერმა კი განაცხადა, რომ თათბირი ენერგოსისტემაში არსებულ რთულ ვითარებასა და კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტულ გეგმას ეხებოდა.

თათბირის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა ცენტრალურ სადისპეტჩეროში მოულოდნელად მივიდნენ. შეხვედრაზე, რომელსაც ენერგეტიკოსებიც ესწრებოდნენ, ენერგოსისტემაში შექმნილი ვითარება განიხილეს და სამოქმედო გეგმები დასახეს. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, მობილიზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი შემადგენლობა, რათა ენერგეტიკოსებს დაზიანებული გადამცემი ხაზების აღდგენაში დაეხმარონ.

**„მობილიზებულია ტრაქტორები და სხვა საჭირო ტექნიკა, რათა ენერგეტიკოსებმა თოვლის მიუხედავად დაზიანების ადგილებამდე მისვლა შეძლონ“**, - აღნიშნა მერაბიშვილმა და დასძინა, უახლოეს დღეებში ჩაირთვება მეცხრე ენერგობლოკი, რომელიც არსებულ დაძაბულობას მოხსნის.

კითხვას, რატომ ესწრებოდა შეხვედრას გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და ხომ არ გვაქვს საქმე დივერსიასთან, მერაბიშვილმა ალოგიკური უწოდა. თავად ადეიშვილს კი კომენტარი არ გაუკეთებია. **24 საათი**

### სასჯელაღსრულების დეპარტამენტს საგანგებო შტაბი აკონტროლებს

ქვეყანაში შექმნილ ენერგოკრიზისთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კვლავ მუშაობს საგანგებო შტაბი, რომელიც სისტემაში არსებულ უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. როგორც იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განაცხადეს, საგანგებო შტაბს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობს.

დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ამჟამად საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არის შუქი, საპატიმროები მომარაგებულია დიზელით, მწყობრშია გენერატორები და ციხე უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით ნებისმიერ შემთხვევაში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში საგანგებო შტაბი 22 იანვარს შეიქმნა. შტაბის წევრები უკვე იმყოფებოდნენ ქუთაისის N2 ახალ აშენებულ საპყრობილეში, სადაც გაზის გათიშვის გამო გათბობის პრობლემა შეიქმნა. შტაბის წევრებმა ქუთაისში დიზელი ჩაიტანეს. **ინტერპრესნიუსი**

### პრობაციის ოფიცრები სოციალური მუშაკის სასწავლო კურსს გაივლიან

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თბილისის ბიურის ოფიცრები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური დეპარტამენტის ბაზაზე, სოციალური მუშაკის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გაივლიან. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე ერთწლიანი სასწავლო პროექტის დასრულების შემდეგ, პრობაციის ოფიცრები ბაკალავრის ხარისხს და სახელმწიფო უნივერსიტეტის სერტიფიკატს მიიღებენ. მათივე განცხადებით, პრობაციის დეპარტამენტის მუშაკებს, ძირითადად, იურიდიული განათლება აქვთ, თუმცა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ, სამართლებრივის გარდა, სოციალური ხასიათის ურთიერთობებშიც უწევთ მონაწილეობის მიღება. სწორედ ამიტომ, პრობაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობისა და “საქართველოში სოციალური მუშაკის პროფესიის დამკვიდრების“ პროექტის კოორდინატორთა შეთანხმების საფუძველზე, სხვებთან ერთად, ზემოხსენებულ სასწავლო კურსში მონაწილეობის საშუალება პრობაციის ექვს ოფიცერსაც მიეცა. სასწავლო კურსის მონაწილეები გაეცნობიან სოციალური სამუშაოს ძირითად საფუძვლებს, სოციალურ პოლიტიკასა და სხვა სპეციფიკურ საგნებს, რაც პრობაციის ოფიცრებს პირობით მსჯავრდებულთა სოციალური ადაპტაციის პროცესის ეფექტურად წარმართვაში დაეხმარება. **პრაიმ-ნიუსი**

### მოსამართლის თანაშემწეობის პრეტედენტთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდება

დღეს, დილის 10 საათზე სამოსამართლო სწავლების ცენტრი ატარებს მოსამართლის თანაშემწეობის პრეტედენტთა საკვალიფიკაციო გამოცდას. ტესტირებას გაივლის ის 100 იურისტი, რომლებმაც სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა სამთვიანი კურსი გაიარეს. სასწავლო პროგრამის მიხედვით, ტესტები 100 კითხვისგან შედგება, 70 სწორი პასუხი კი გამსვლელია.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, იურისტები მომზადდნენ სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში, საერთაშორისო სამართალში, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ სამართალში. საზოგადოებრივი კონტროლის და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოცდაზე მეთვალყურეებად მიწვეულნი არიან იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები. იურისტები, რომლებიც ტესტირებას გაივლიან, სამოსამართლეო სწავლების ცენტრის სერთიფიკატს მიიღებენ, რომლითაც მათ უფლებამოსილება ენიჭებათ იმუშაონ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. ახალი ჯგუფი მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა სწავლას მარტიდან დაიწყებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დედაქალაქში ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი არ გაზრდილა

დიდთოვლობისა და გზების მოყინვის გამო, დედაქალაქში ავტომანქანების მფლობელები ტრანსპორტით გადაადგილებისგან თავს იკავებენ, რის გამოც ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი არ გაზრდილა. როგორც საპატრულო პოლიციაში განაცხადეს, მოცურების გამო ავტომანქანების დაზიანების სერიოზული შემთხვევები არ დაფიქსირებულა, რადგან მძღოლები ამ ორი დღის განმავლობაში დაბალი სიჩქარით მოძრაობენ. **„მოცურების გამო მსუბუქი ავტოსატრანსპორტო შემთხვევები დაფიქსირდა, თუმცა სერიოზულად არავინ დაშავებულა“**, - განმარტავენ პოლიციაში. დედაქალაქში გზებზე თოვლის საფარისა და მოყინვის გამო, ამ დროისთვის გზის არც ერთი მონაკვეთი არ გადაუკეტავთ. ტექნიკური მარილის დაყრა ამჟამადაც გრძელდება, თუმცა ეფექტი არა აქვს, რადგან გზის საფარი უმოკლეს დროში კვლავ თოვლით იფარება. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** ქრთამის აღების ფაქტზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორი ნადირაძე და მისი თანამზრახველი კაპანაძე დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, აღნიშნულმა პირებმა მოქალაქეს ავტომობილის გადაფორმებაში ხელშეწყობის სანაცვლოდ, საპატრულო პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე 280 ლარი გამოსძალეს. პირადი ჩხრეკისას ნადირაძეს აღმოაჩნდა სპეციალური ქიმიური ნივთიერებით დამუშავებული 150 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა ამოღებულია კაპანაძისგან. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შს სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. როგორც სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, ძებნილი ოთხშაბათს სასაზღვრო-საპასპორტო რეჟიმის გავლის დროს „დომოდედოვი-თბილისის“ რეისზე აიყვანეს. მათივე ინფორმაციით, დაკავებული შემდგომი რეაგირებისთვის შს ისანი-სამგორის სამმართველოს გადაეცა. **პრაიმ-ნიუსი**

“საქართველოს კანონთა წიგნისა და საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია თანაუგრძნობს ნანა ლატარიას მამის, ბატონი გენოს გარდაცვალების გამო”.

# რუსეთის ხელისუფლება ექსტრადირების შესახებ საერთაშორისო არბიტრაჟის შექმნაზე მუშაობს

რუსეთის ხელისუფლება მუშაობს ისეთი საერთაშორისო არბიტრაჟის შექმნაზე, რომელიც გადაწყვეტს სხვადასხვა დანაშაულებში ბრალდებული პირების ერთი ქვეყნის მიერ მეორისთვის გადაცემის საკითხს. ამჟამად სასამართლოს დახმარებით რუსეთი იმედოვნებს მიაღწიოს რუსეთის იმ მოქალაქეთა ექსტრადიციას, რომელთა გადაცემაზე მათ რიგმა ქვეყნებმა უარი განუცხადეს.

**“რუსეთისთვის სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოებს არაერთხელ უთქვამთ უარი ამა თუ იმ ბრალდებულის, მათ შორის ტერორიზმთან კავშირში მხილებულთა გადმოცემაზე. ამიტომაც იუსტიციის სამინისტრო გამოდის წინადადებით, რომ ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნას საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც განიხილავს დანაშაულში ბრალდებულთა ერთი ქვეყნის მიერ მეორისთვის გადაცემის ირგვლივ წარმოქმნილ დავებს”**, - ამბობს რუსეთის იუსტიციის მინისტრი იური ჩაიკა, რომლის თქმითაც, ამ წინადადებას თავის დროზე მხარი დაუჭირეს ვარშავაში ჩატარებული ევროსაბჭოს სამიტის მონაწილეებმა და ახლა საკითხი “დავების განხილვის მექანიზმის შესახებ” უნდა განიხილოს ევროპულმა კომიტეტმა, რომელიც დამნაშავეობის პრობლემებზე მუშაობს.



ვლადიმერ გუსინსკი.



ახმედ ზაკაევი.

საქმე ის გახლავთ, რომ მსგავს საქმეებში ყოველთვის ფიგურირებს როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური ასპექტები და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ნაციონალური სასამართლოები ხშირად მიდიან დასკვნამდე, რომ ესა თუ ის პირი სწორედ პოლიტიკური მოტივებით იდევნება. ამასთან, ნაციონალური სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოაა და რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმი მისი გასაჩივრებისა, არ არსებობს.

რუსეთის იუსტიციის მინისტრის ინიციატივით კი, სწორედ ასეთი მექანიზმის შექმნაზეა საუბარი. კერძოდ, თუ ერთი ქვეყნის ნაციონალური სასამართლო მეორე ქვეყანას უარს ეტყვის დანაშაულში ბრალდებულის გადაცემაზე, ორივე ქვეყანა წარადგენს თითო არბიტრს, რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ასახელებენ მესამეს. სწორედ ეს მესამე წყვეტს, ჰქონდა თუ არა კონკრეტულ ნაციონალურ სასამართლოს კონკრეტული ბრალდებულის სხვა ქვეყნისთვის გადაცემაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველი. იდეალურ ვარიანტში არბიტრაჟის გადაწყვეტილება ნაციონალური სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მაღლა უნდა იდგეს. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ორივე ქვეყანა, რომელთა შორისაც დავა წარმოიშვა, არბიტრაჟის წევრები იყვნენ. ჯერჯერობით განზრახულია არბიტრაჟი ევროსაბჭოს ეგიდით შეიქმნას და მისი იურისდიქცია ევროპის ქვეყნებით შემოიფარგლოს.

არბიტრაჟის შექმნის საკითხი, სხვა ქვეყნებმაც რომ მოიწონონ, დეტალურ სამართლებრივ დამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, ხომ არ დაარღვევს ხელისუფლების განაწილების პრინციპს არბიტრაჟის მიერ ნაციონალური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება. ამას გარდა, ჯერ არც კი წამოუჭრიათ საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ შეუთანხმებენ არბიტრაჟის მუშაობას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, სადაც ნებისმიერ პირს, ვის მიმართაც ექსტრადიციის გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ამ ვერდიქტის გასაჩივრების უფლება აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იური ჩაიკას ინიციატივის პრაქტიკულად განხორციელებას, საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი, წელიწადზე მეტი დასჭირდება.

თუმცა, ექსპერტები ახლავე ფრთხილობენ, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში იმდენად რადიკალური იქნება, რომ შესაძლოა სახელმწიფო სუვერენიტეტსაც კი შეეხოს. შესაბამისად, ბევრი ქვეყანა მისი შექმნის წინააღმდეგ გამოვა და ახალ კონვენციას, რომლის ინიციატორადაც რუსეთი გამოდის, ტრადიციულად მხოლოდ ბელორუსი და ტაჯიკეთი შეუერთდებიან.

## ვინ არ გადასცეს რუსეთს

1993 წლის მარტში რუსეთის გენერალურ პროკურატურას ისრაელის იუსტიციის მინისტრმა უარი უთხრა მომღერალ იგორ ტალკოვის მკვლელობაში ბრალდებულის, მისივე ადმინისტრატორის **ვალერი შლიაფმანის** გადაცემაზე.

1996 წლის 19 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო სასამართლომ უარი თქვა რუსეთისთვის გადაეცა სრულიად რუსეთის საბირჟო ბანკის ექს-დირექტორი **ალექსანდრ კონანიხინი**, რომელსაც 8 მილიონი დოლარის მითვისებაში ედებოდა ბრალი. 1999 წლის 5 მარტს კონანიხინმა პოლიტიკური თავშესაფარიც მიიღო, 2004 წლის 11 მარტს კი რუსმა სამართალდამცველებმა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე დახურეს.

1997 წლის აპრილში ვარშავაში დააკავეს რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი **სერგეი სტანკევიჩი**, რომელსაც რუსეთის გენპროკურატურა ქრთამის აღებაში ადანაშაულებდა. 1998 წლის 20 იანვარს ვარშავის სააპელაციო სასამართლომ მის გადაცემაზე უარი განაცხადა, 1999 წელს კი მან პოლიტემიგრანტის სტატუსი მიიღო. 1999 წელსვე დახურა რუსეთის გენპროკურატურამ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე, უკვე 2000 წელს სტანკევიჩი რუსეთში დაბრუნდა.

2001 წლის 18 აპრილს ესპანეთის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ნაციონალურმა სასამართლო კოლეგიამ 2000 წლის 12 დეკემბერს დაკავებული ცნობილი რუსი ბიზნესმენის **ვლადიმერ გუსინსკისთვის** ინკრიმინირებული დანაშაული არ მიაკუთვნა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და საჭიროდ არ ჩათვალა მისი რუსეთისთვის გადაცემა. 2003 წლის 14 ოქტომბერს კი გუსინკის რუსეთისთვის გადაცემაზე უარი თქვა საბერძნეთმა.

2001 წლის 16 მაისს პარიზის სააპელაციო სასამართლომ “ექსტრადიციისთვის საკმარისი საფუძვლის არარსებობის გამო” პატიმრობიდან გაათავისუფლა კემეროვოს მხარის გუბერნატორზე ამან ტულეევზე თავდასხმის ორგანიზებაში ბრალდებული ბიზნესმენი **მიხაილ ჟივილო**.

2003 წელს ლონდონის სამაგისტრატო სასამართლომ უარი თქვა იჩქერიის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის **ახმედ ზაკაევის** რუსეთში ექსტრადიციაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ორ კვირაში ახმედ ზაკაევი ბრიტანეთმა პოლიტიკური თავშესაფრით უზრუნველყო. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები **ბორის ბერეზოვსკითან** მიმართებაში, რომელსაც რუსეთის გენპროკურატურა დიდი ოდენობით თანხების მიტაცებაში სდებს ბრალს.

2004 წლის 27 იანვარს ისრაელმა რუსეთის ფედერაციიდან მიიღო მოთხოვნა იუკოსის თანამფლობელების **ლეონიდ ნევზლინის, ვლადიმირ დუბოვისა და მიხაილ ბრუდნოს** გადაცემის შესახებ. ლეონიდ ნევზლინის გადაცემის შესახებ მოთხოვნით მიმართეს აშშ-საც. ორივე მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.

2005 წლის 2 მაისს შვეიცარიის პოლიციამ, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით, დააკავა რუსეთის მინატომის ექს-ხელმძღვანელი **ევგენი ადამოვი**, რომელსაც 9 მილიონი დოლარის მითვისება ბრალდება. უკვე 13 მაისს რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ აღძრა საქმე ადამოვის წინააღმდეგ თაღლითობისა და უფლებამოსილების გადამეტებისთვის. 19 მაისს შვეიცარიაში რუსების მოთხოვნაც გაიგზავნა ბრალდებულის გადაცემის მოთხოვნით, თუმცა, შვეიცარიის იუსტიციის ფედერალურმა სამმართველომ გადაწყვიტა, რომ ადამოვი შეერთებული შტატებისთვის გადაეცა - რუსეთის მოთხოვნა ნაკლებად პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული.

## ვის გადაცემაზე თქვა უარი რუსეთმა

2005 წლის ივლისში რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ უარი განაცხადა უკრაინის მოთხოვნაზე, გადაეცათ 2003-2004 წლებში უკრაინის პრეზიდენტის კანცელარიის ხელმძღვანელი **იგორ ბაკაი**, რომელსაც უკრაინელი სამართალდამცველები საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვასა და უფლებამოსილების გადამეტებას ედავებიან. რუსული მხარის განცხადებით, “იგორ ბაკაი რუსეთის მოქალაქეა და არ შეიძლება გადაეცეს უკრაინას”.

რუსეთი კარგა ხანია უარს ამბობს საქართველოსთვის ყოფილი უშიშროების მინისტრის, ტერაქტების, მათ შორის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებული **იგორ გიორგაძის** გადაცემაზე. ქართველი სამართალდამცველების ინფორმაციით, გიორგაძემ 1995 წელს მოსკოვს შეაფარა თავი, რუსების მტკიცებით კი, გიორგაძის ადგილსამყოფელი მათთვის უცნობია.

1996 წელს რუსეთის გენპროკურატურამ უარი თქვა აზერბაიჯანისთვის გადაეცა ჰეიდარ ალიევის თანამებრძოლის, აჟდარა ხანბაბაევის მკვლელობაში ბრალდებული, აზერბაიჯანის სუკის ექს-ხელმძღვანელი **ვაგიფ ჰუსეინოვი**. იგი ამჟამად მოსკოვის სტრატეგიული კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის დირექტორია.

**ვლადიმერ ლინდერმანმა(აბელმა)**, ლატვიის ნაციონალ-ბოლშევიკური პარტიის ლიდერმა, რუსეთში გადასახლება მანამდე შეძლო, სანამ ლატვიის ხელისუფლება მის წინააღდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდა პრეზიდენტ ვაირუ ვიკე-ფრეიბერგაზე თავდასხმის მომზადების გამო. მისი ლატვიისთვის გადაცემის მოთხოვნას რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ უპასუხა, რომ აბელს ლატვიაში “პოლიტიკური საქმიანობისა და შეხედულებებისთვის დევნიან”.

იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე **მირა მარკოვიჩი და ვაჟი მარკო მილოშევიჩი**, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, რუსეთში იმყოფებიან. სერბეთის ხელისუფლების მიერ პრემიერ მინისტრის ზორან ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილების გადაცემის მოთხოვნაზე, რუსეთმა უპასუხა, რომ “საკითხში გაერკვევა”. თუმცა, 2005 წლის ზაფხულში, სერბეთის ხელისუფლებაში ვოისლავ კოშტუნიცას მისვლის შემდეგ, დედა-შვილს ბრალდებები მოეხსნათ.

1990-1992 წლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **აიაზ მუტალიბოვმა** გადადგომის შემდეგ მოსკოვს შეაფარა თავი. ოფიციალურ ბაქოს არაერთხელ მიუმართავს რუსეთისთვის მისი, როგორც სახელმწიფო გადატრიალებისა და ჰეიდარ ალიევზე თავდასხმის მცდელობაში ბრალდებულის გადაცემის მოთხოვნით. 1996 წელს იგი რუსმა სამართალდამცველებმა მართლაც დააპატიმრეს “იარაღის დატაცებისა და შეიარაღებული ფორმირების შექმნისათვის”, თუმცა, ბრალდების ვერდადასტურების გამო მალევე გაათავისუფლეს.

## საერთაშორისო სკანდალები ექსტრადიციის ირგვლივ

1977 წელს ამერიკის ხელისუფლებამ კინორეჟისორი **რომან პოლანსკი** 13 წლის გოგონასთან სექსუალურ ურთიერთობასა და ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა. ამ ბრალდებით მას 50-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. პოლანსკი კი საფრანგეთში გაიქცა, რომელთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ექსტრადიციის შესახებ შეთანხმება არ აქვთ. კინორეჟისორის დაპატიმრების ორდერი დღესაც ძალაშია და პოლანსკის დააპატიმრებენ ნებისმიერ ქვეყანაში, რომელთანაც ამერიკას ასეთი შეთანხმება დადებული აქვს.

1979 წელს ცენტრალური აფრიკის იმპერატორი **ჟან-ბედელ ბოკასა** ჩამოაგდეს. 1980 წელს კი რესპუბლიკის სასამართლომ მას დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა მკვლელობების, კანიბალიზმისა და სახელმწიფო ქონების განიავებისთვის და საფრანგეთის ხელისუფლებას (სწორედ საფრანგეთს შეაფარა თავი ბოკასამ) მისი ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართა. საფრანგეთმა კი ექსტრადიციაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ექს-იმპერატორი იქ “გადასახლებაში” იმყოფებოდა (სინამდვილეში ბოკასა პარიზის ახლოს, მე-17 საუკუნის ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა). 1986 წელს ბოკასა სამშობლოში დაბრუნდა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დაიჭირეს და 20 წლით კატორღა მიუსაჯეს. შვიდი წლის შემდეგ კი გაათავისუფლეს და 1996 წელს ინფარქტით გარდაიცვალა.

1998 წელს ჩილეს ექს-დიქტატორი **ავგუსტო პინოჩეტი** ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში დააპატიმრეს ორი ესპანელი მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც 1973-1990 წლებში ჩილეში ესპანეთის მოქალაქეების წამებისა და მკვლელობის ფაქტებთან მის კავშირს იძიებდნენ. 2000 წელს ლონდონის სასამართლომ უარი თქვა პინოჩეტის ესპანეთში ექსტრადიციაზე მოხუცი გენერლის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო. მოგვიანებით პინოჩეტი სამშობლოში გაამგზავრეს, სადაც მის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები გრძელდება.

2004 წელს ტოკიოს აეროპორტში დააკავეს მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში **რობერტ (ბობი) ფიშერი**. აშშ-ს ხელისუფლება მას “იუგოსლავიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დარღვევაში” ადანაშაულებს. საქმე ის გახლავთ, რომ ფიშერი 1992 წელს ბელგრადში ბორის სპასკის ეთამაშა და ეს მატჩი ამერიკის ხელისუფლებამ კომერციულად ჩათვალა. მატჩის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტმა ფიშერს პასპორტი გაუუქმა და განუცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ათწლიანი პატიმრობა ელის. 2004 წლის დეკემბერში ბობი ფიშერმა ისლანდიაში ცხოვრების უფლების მიღებას მიაღწია, სადაც ის, დეპორტირების წესით, იაპონიიდან გაამგზავრეს. ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე ცდილობს მიაღწიოს მის ექსტრადიციას.

*24 საათი*


ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები კერძო ბიზნესის წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი. წარმატებულ კურსდამთავრებულს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები CTC (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) და ESM თბილისი (მართვის ევროპული სკოლა).
სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ CV (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16.**
**ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgt.ge**



უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი...........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...........................................

საკონტაქტო ტელეფონი...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge




# სახალხო ფორუმი

**ძვირფასო თბილისელებო!**

"სახალხო ფორუმის", პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით თბილისში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვების კამპანია თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების მოთხოვნით.

**მოგიწოდებთ!**

საკუთარი ხელმოწერებით გამოვხატოთ სურვილი და მზადყოფნა, პირდაპირი გზით ავირჩიოთ თბილისის მერი და თავადვე ვაგოთ პასუხი ჩვენს ქალაქზე! დაინტერესებულ პირებს ხელმოწერებთან დაკავშირებით შეუძლიათ მოგვმართოთ შემდეგ ოფისებში:

**"სახალხო ფორუმი"** - ქ. თბილისი; ვირსალაძის ქ.N10;
**"რესპუბლიკური პარტია"** -ქ. თბილისი; ალ. ჭავჭავაძის ქ. N11;
**"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"** - ქ. თბილისი; მტკვრის მარცხენა სანაპირო N7;
**"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"** -ქ. თბილისი. რუსთაველის პროსპ. N 21
**"კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი"** - ქ. თბილისი; მიტროფანე ლაღიძის ქ. N3;
საზოგადოება **"სამგორი"** - მოსკოვის პროსპექტი; მარელისის ქ. N 2 "განთიადის კულტურის სახლი".

**თბილისელებს გვაქვს არჩევანის უფლება!**

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სხვადასხვა სახის საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

| ლოტი | საწვავის სახე | რ-ბა (ლიტრი) | მიწოდების სახე | მიწოდების ადგილი | ლოტი | საწვავის სახე | რ-ბა (ლიტრი) | მიწოდების სახე | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სუპერი | 11 000 | ტალონი | აჭარა | 25 | პრემიუმი | 22 000 | ტალონი | სამეგრელო ზემო სვანეთი |
| 2 | სუპერი | 11 000 | ტალონი | მცხეთა-მთიანეთი | 26 | პრემიუმი | 55 000 | ტალონი | აჭარა |
| 3 | სუპერი | 5 500 | ტალონი | შიდა ქართლი | 27 | პრემიუმი | 4029575 | ტალონი | ქ.თბილისი |
| 4 | სუპერი | 5 500 | ტალონი | ქვემო ქართლი | 28 | რეგულარი | 85 800 | სითხე | ახალციხე |
| 5 | სუპერი | 5 500 | ტალონი | კახეთი | 29 | რეგულარი | 85 800 | სითხე | ქ. ამბროლაური |
| 6 | სუპერი | 11 000 | ტალონი | სამცხე-ჯავახეთი | 30 | რეგულარი | 171 600 | სითხე | ქ.ზუგდიდი |
| 7 | სუპერი | 11 000 | ტალონი | იმერეთი | 31 | რეგულარი | 19 800 | სითხე | ქ.თბილისი |
| 8 | სუპერი | 3 300 | ტალონი | რაჭა-ლეჩხუმი | 32 | რეგულარი | 286 000 | ტალონი | აჭარა |
| 9 | სუპერი | 11 000 | ტალონი | გურია | 33 | რეგულარი | 165 000 | ტალონი | მცხეთა მთიანეთი |
| 10 | სუპერი | 22 000 | ტალონი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 34 | რეგულარი | 264 000 | ტალონი | შიდა ქართლი |
| 11 | სუპერი | 289 520 | ტალონი | ქ.თბილისი | 35 | რეგულარი | 220000 | ტალონი | ქვემო ქართლი |
| 12 | პრემიუმი | 1 276 000 | პლასტიკ. ბარათი | ქ.თბილისი | 36 | რეგულარი | 231 000 | ტალონი | კახეთი |
| 13 | პრემიუმი | 85 800 | სითხე | ქ.თბილისი | 37 | რეგულარი | 24 200 | ტალონი | სამცხე-ჯავახეთი |
| 14 | პრემიუმი | 50 985 | ტალონი | მლეთა-კობის მონაკვეთი | 38 | რეგულარი | 341000 | ტალონი | იმერეთი |
| 15 | პრემიუმი | 50 985 | ტალონი | ბორჯომი-ახალციხის მონაკვეთი | 39 | რეგულარი | 77 000 | ტალონი | გურია |
| 16 | პრემიუმი | 50 985 | ტალონი | საგარეჯო-გურჯაანის მონაკვეთი | 40 | რეგულარი | 224 400 | ტალონი | სამეგრელო |
| 17 | პრემიუმი | 11 000 | ტალონი | მცხეთა მთიანეთი | 41 | რეგულარი | 1 184 700 | ტალონი | ქ.თბილისი |
| 18 | პრემიუმი | 60 500 | ტალონი | შიდა ქართლი | 42 | დიზელი | 909 700 | ტალონი | ქ.თბილისი გულუას ქ.N8 |
| 19 | პრემიუმი | 104 500 | ტალონი | ქვემო ქართლი | 43 | დიზელი | 49500 | ტალონი | სამცხე-ჯავახეთი |
| 20 | პრემიუმი | 60 500 | ტალონი | კახეთი | 44 | დიზელი | 66 000 | სითხე | ქ.რუსთავი |
| 21 | პრემიუმი | 66 000 | ტალონი | სამცხე-ჯავახეთი | 45 | დიზელი | 74 800 | სითხე | წალკა |
| 22 | პრემიუმი | 143 000 | ტალონი | იმერეთი | 46 | სუპერი | 8 800 | ტალონი | ქ.რუსთავი |
| 23 | პრემიუმი | 20 900 | ტალონი | რაჭა-ლეჩხუმი | 47 | სუპერი | 4 400 | ტალონი | ახალციხე |
| 24 | პრემიუმი | 55 000 | ტალონი | გურია | 48 | სუპერი | 10 450 | ტალონი | ქ.ფოთი |

3. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 17 თებერვლის 10 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

a) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

b) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

8. დაფინანსების წყარო - 1-42 ლოტი სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო 43-48 ლოტი "ბპი"-სთან გაფორმებული გრანტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

*10.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი ტელ. 754-774, *899 23-46-95*

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# უნდა ვჭამოთ თუ არა ქათამი?

*ამ შინაარსის კითხვა დღეს ყველაზე ხშირად ისმის. შესაძლოა ამ კითხვით ბევრი თქვენგანიც დაინტერესებულა. ეს ბუნებრივიც არის. ბოლო რამდენიმე კვირაა მსოფლიოში და განსაკუთრებით, მეზობელ თურქეთში გავრცელებული ფრინველის გრიპის ვირუსის გამო, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პანიკამ მოიცვა, თუმცა როგორც კომპეტენტური ადამიანები ამტკიცებენ დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილი აჟიოტაჟი ყოველგვარ რეალურ საფუძველს არის მოკლებული. მეტიც, ექსპერტები იმაშიც გვარწმუნებენ, რომ ფრინველის ხორცის საკვებად მოხმარება შეგვიძლია მშვიდად განვაგრძოთ.*

ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად დღეს ჩვენ გვესაუბრება ლევან ედილაშვილი - თბილისის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

**ამ დღეებში მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს იკავებს ქათმის ხორცის მოხმარებისგან. რამდენად ადექვატურია საზოგადოების ასეთი განწყობა ფრინველის გრიპის ვირუსთან მიმართებაში?**

პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ფრინველის მათ შორის ქათმის ხორცის მიღება მე და ჩემს ოჯახს არ შეგვიწყვეტია. პირადად მე დღესაც მშვიდად მივირთმევ. მთავარია მაღაზიში იქნება ბაზარში თუ ნებისმიერ სხვა ადგილას, ნაყიდ ქათამს ჰქონდეს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

საერთოდ მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ ფრინველის ხორცის საკვებად მოხმარება არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. უბრალოდ თავდაცვისთვის საჭიროა გარკვეული პრევენციული ზომების გატარება. ამ შემთხვევაში კი ვგულისხმობ იმას, რომ ფრინველის ხორცი თუ მისი სხვა პროდუქტი უნდა მომზადდეს შესაბამისი ნორმების დაცვით, ანუ პროდუქტი უნდა მოიხარშოს ან შეიწვას 70 C-ზე მაღალ ტემპერატურაზე - ეს არის ყველა სახელმწიფოს ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაცია. დადასტურებულია, რომ დაავადებული ფრინველის შემთხვევაშიც კი ამ დროს ვირუსი კვდება. არ შეიძლება ფრინველის ხორცის ან სხვა პროდუქტის უმად ჭამა და კიდევ ერთი, საშიშია ფრინველთან კონტაქტი, მისი დაკვლა, გაპუტვა და არავითარ შემთხვევაში არ არის საშიში მისი საკვებად მოხმარება.

ქალაქში და მთლიანად ქვეყანაში დღეს შექმნილი პანიკა რეალურ ვითარებას სრულებითაც არ შეესაბამება, უბრალოდ მგონია, რომ მოსახლეობას თავის დროზე ინფორმაცია არასწორად მიეწოდა, რამაც ეს აჟიოტაჟი გამოიწვია.

**რამდენად დაცულია მომხმარებელი იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში?**

კიდევ უფრო უსაფუძვლოა ის პანიკა, რომელიც იმპორტირებული ფრინველის ხორცის ირგვლივ არის ატეხილი. მე პირადად მქონდა საუბარი რამდენიმე იმპორტიორთან, იგივე "სადიას" ფირმის წარმომადგენლებთან საქართველოში და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში შემოტანილი ფრინველის ხორცი საკვებად ვარგისი და უსაფრთხოა. საერთოდ ყველა იმ სახელმწიფოში სადაც თუნდაც ერთი შემთხვევა მაინც დარეგისტრირდა ფრინველის გრიპის ვირუსის, იქიდან საქართველოში იმპორტი აკრძალულია და ჩვენი ვეტერინარური სამსახურების მიერ ამ მხრივ მკაცრად ხდება კონტროლი.

**შეგიძლიათ დაგვისახელოთ ფრინველის ხორცის რამდენიმე იმპორტიორი ქვეყანა, რომელიც განსაკუთრებულად საიმედოა?**

იგივე "სადიას" შემთხვევაში მინდა გითხრათ, რომ ეს იმ ქვეყანაშია წარმოებული, სადაც დღევანდელი მონაცემებით ვიურსის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. "სადიას" პროდუქტი არა მარტო ჩვენი შესაბამისი სამსახურების მიერ, არამედ საერთაშორისო სტანდარტებით არის შემოწმებული. სხვათაშორის ჩემი ინფორმაციით ამ კომპანიას ნიუ-იორკის ბირჟაზე მესამე ადგილი უკავია დისტრიბუციის თვალსაზრისით.

**რას აკეთებს უშუალოდ თქვენი სამსახური პრევენციისთვის?**

მინდა თითოეულმა მოქალაქემ იცოდეს, რომ დღეს საზღვრები მკაცრად კონტროლდება. საბედნიეროდ ვირუსის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა ქვეყანაში და ჩვენი სამსახურიც თითქმის ყოველდღიურად ამოწმებს მაღაზიებს, ბაზრებსა და ყველა იმ ადგილს სადაც ფრინველის ხორცი იყიდება. ხდება ჩვენს მიერ ამ პროდუქტის წარმოშობის სერთიფიკატის შესწავლა. იმ შემთხვევაში თუკი პროდუქტს არ აღმოაჩნდება შესაბამისი დოკუმენტაცია ხდება პროდუქტიის სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება. ჩვენი რამდენიმე რეიდის შემდეგ დღეს უკვე არცერთი მაღაზია აღარ ღებულობს ფრინველის ხორცს შესაბამისი სერთიფიკატის გარეშე.

*ესაუბრა მარიამ ჯაჭვაძე*

# სს "პროკრედიტ ბანკი, საქართველო"-ს ფინანსური ანგარიშგება 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

Bank: პროკრედიტბანკი, საქართველო
Date: 31-Dec-05

| RC | საბალანსო უწყისი | | | ლარებში |
|---|---|---|---|---|
| | **აქტივები** | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 6,625,409 | 11,648,816 | 18,274,224 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 17,105,403 | 23,187 | 17,128,590 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 2,004 | 39,169,414 | 39,171,418 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 55,932,941 | 186,415,928 | 242,348,869 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (1,996,383) | (5,900,821) | (7,897,204) |
| 6 | წმინდა სესხები | 53,936,559 | 180,515,107 | 234,451,665 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 756,478 | 1,552,480 | 2,308,958 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 108,880 | X | 108,880 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 126,011 | 0 | 126,011 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 14,096,196 | | 14,096,196 |
| 10 | სხვა აქტივები | 1,520,115 | 2,496,363 | 4,016,478 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | **94,277,054** | **235,405,366** | **329,682,420** |
| | | | | |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 4,200,001 | 5,407,402 | 9,607,403 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 16,948,958 | 27,876,964 | 44,825,922 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 648,523 | 6,293,422 | 6,941,945 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 10,274,933 | 70,132,603 | 80,407,536 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 5,307,122 | | 5,307,122 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 4,300,000 | 111,978,959 | 116,278,959 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 261,736 | 2,962,645 | 3,224,381 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 1,616,067 | 4,415,667 | 6,031,735 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 12,470,776 | 12,470,776 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | **43,557,340** | **241,538,437** | **285,095,777** |
| | | | | |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 23,750,100 | X | 23,750,100 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 11,578,890 | X | 11,578,890 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 1,896,010 | X | 1,896,010 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 7,361,643 | X | 7,361,643 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 0 | X | 0 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 44,586,642 | X | 44,586,642 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | **88,143,982** | **241,538,437** | **329,682,420** |

ბანკი: პროკრედიტბანკი, საქართველო
თარიღი: 12/31/05

RI **მოგება - ზარალის უწყისი**

ლარებში

| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 145,674 | 300,577 | 446,250 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 12,676,342 | 20,863,895 | 33,540,237 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 31,644 | 288,319 | 319,962 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 212,138 | 11,708,773 | 11,920,911 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 501 | 144,307 | 144,808 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,466 | 153,673 | 155,138 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 132 | 572,935 | 573,067 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 0 | 193,819 | 193,819 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 33,693 | 275,550 | 309,244 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 12,209,161 | 7,018,777 | 19,227,938 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 187,607 | 507,742 | 695,350 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 129,609 | 0 | 129,609 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავალი** | 12,951,625 | 21,164,472 | 34,116,097 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 185,189 | 646,305 | 831,495 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 418,344 | 2,720,986 | 3,139,329 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 255,362 | 221,989 | 477,350 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 102,184 | 0 | 102,184 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 386,012 | 6,608,737 | 6,994,749 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 0 | 96 | 96 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 1,347,091 | 10,198,112 | 11,545,204 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 11,604,534 | 10,966,359 | 22,570,893 |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 1,154,183 | 2,167,821 | 3,322,003 |
| | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 1,554,355 | 2,610,799 | 4,165,154 |
| | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 400,172 | 442,978 | 843,150 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 0 | 0 | 0 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 2,112,041 | 0 | 2,112,041 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (28,237) | 0 | (28,237) |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | (51,205) | (1,555) | (52,760) |
| 21 | სხვა საბანკო ოპერციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 118,790 | 1,095,035 | 1,213,825 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 391,176 | 716,075 | 1,107,251 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 3,696,748 | 3,977,376 | 7,674,124 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 1,891,206 | 980,661 | 2,871,867 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 1,735,272 | 2,043,734 | 3,779,006 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 9,950,596 | 0 | 9,950,596 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 82,528 | 0 | 82,528 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 2,179,924 | 0 | 2,179,924 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 4,117,820 | 131,425 | 4,249,245 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 19,957,346 | 3,155,820 | 23,113,166 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (16,260,598) | 821,556 | (15,439,042) |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | (4,656,064) | 11,787,915 | 7,131,851 |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 4,136,148 | X | 4,136,148 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 0 | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 316,553 | X | 316,553 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 4,452,701 | 0 | 4,452,701 |
| | | | | |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | (9,108,765) | 11,787,915 | 2,679,150 |
| 38 | მოგების გადასახადი | 535,832 | 0 | 535,832 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | (9,644,597) | 11,787,915 | 2,143,318 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | (9,644,597) | 11,787,915 | 2,143,318 |

**ფინანსური ანგარიშგება არის არააუდიტირებული**

# ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის მომსახურებისშესყიდვაზე) 2006 წლის 25 იანვრის გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები:

კერძოდ:

5-8 ლოტის დაფინანსების წყაროა "ბპი"-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

**"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოს დაცვის ინსპექციაში შემდეგ თანამდებობებზე:**

**გარემოს დაცვის ინსპექციის ცენტრალურ აპარატში:**

**სწრაფი რეაგირების სამსახური (სულ 12 საშტატო ერთეული)**

1. **სწრაფი რეაგირების სამსახურის** მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი);
2. **სწრაფი რეაგირების სამსახურის** უფროსი სპეციალისტი - 10 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);

**ანალიტიკური სამსახური - 7**

1. **ანალიტიკური სამსახურის** ანალიტიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი);
2. **ანალიტიკური სამსახურის** ანალიტიკური განყოფილების სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350 ლარი);
3. **ანალიტიკური სამსახურის** იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი);
4. **ანალიტიკური სამსახურის** იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);

**გარემოს დაცვის ინსპექციის ტერიტორიული ორგანოების აპარატებში**

**აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიურო - 21**

(სამოქმედო ტერიტორია: ქ. მცხეთა გორი ხაშური კასპი ქარელი თიანეთი ყაზბეგი დუშეთი ახალგორი)

5. **აღმოსავლეთ-ცენტრალური** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
6. **აღმოსავლეთ-ცენტრალური** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
7. **აღმოსავლეთ-ცენტრალური** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 14 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
8. **აღმოსავლეთ-ცენტრალური** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**ქვემო ქართლის ბიურო - 13**

(სამოქმედო ტერიტორია: ქ. რუსთავი გარდაბანი დმანისი ბოლნისი მარნეული თეთრიწყარო წალკა)

9. **ქვემო ქართლის** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
10. **ქვემო ქართლის** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
11. **ქვემო ქართლის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 8 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
12. **ქვემო ქართლის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**კახეთის ბიურო - 19**

(სამოქმედო ტერიტორია: ქ. თელავი საგარეჯო გურჯაანი ახმეტა ყვარელი სიღნაღი ლაგოდეხი დედოფლისწყარო)

13. **კახეთის** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);

**კახეთის** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

14. **კახეთის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 11 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
15. **კახეთის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**სამცხე-ჯავახეთის ბიურო - 17**

(სამოქმედო ტერიტორია: ახალციხე ბორჯომი ადიგენი ახალქალაქი ასპინძა ნინოწმინდა)

16. **სამცხე-ჯავახეთის** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
17. **სამცხე-ჯავახეთის** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
18. **სამცხე-ჯავახეთის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 10 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
19. **სამცხე-ჯავახეთის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**დასავლეთ-ცენტრალური ბიურო - 37**

(სამოქმედო ტერიტორია: ქ. ქუთაისი საჩხერე ჭიათურა ზესტაფონი ხარაგაული ბაღდათი თერჯოლა ტყიბული წყალტუბო ხონი სამტრედია ვანი ლანჩხუთი ჩოხატაური ოზურგეთი ონი ამბროლაური ცაგერი ლენტეხი)

20. **დასავლეთ-ცენტრალური** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
21. **დასავლეთ-ცენტრალური** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
22. **დასავლეთ-ცენტრალური** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 22 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
23. **დასავლეთ-ცენტრალური** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 13 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიურო - 21**

(სამოქმედო ტერიტორია: ქ. ზუგდიდი ხობი აბაშა სენაკი ჩხოროწყუ წალენჯიხა მარტვილი მესტია ფოთი)

24. **სამეგრელო-ზემო სვანეთის** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
25. **სამეგრელო-ზემო სვანეთის** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
26. **სამეგრელო-ზემო სვანეთის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 13 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
27. **სამეგრელო-ზემო სვანეთის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**აჭარის ბიურო - 17**

(სამოქმედო ტერიტორია: ქ. ბათუმი ხელვაჩაური ქობულეთი შუახევი ქედა ხულო)

28. **აჭარის** ბიუროს ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
29. **აჭარის** ბიუროს უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
30. **აჭარის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 8 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
31. **აჭარის** ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - 7 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

**შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია - 18**

32. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
33. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
34. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** ბათუმის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი);
35. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის ბათუმის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (ზღვის დაბინძურების კონტროლის დარგში)**- 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
36. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის ბათუმის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (თევზჭერის კონტროლის დარგში)**- 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
37. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის ბათუმის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (ლაბორანტი)**- 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
38. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** ბათუმის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **(თევზჭერის კონტროლის დარგში)** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
39. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** ბათუმის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **(გემთწამყვანი)** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
40. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინცპექციის** ბათუმის განყოფილების სპეციალისტი (კატარღის მექანიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350 ლარი);
41. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** ფოთის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი);
42. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის** ფოთის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **(თევზჭერის კონტროლის დარგში)**- 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450 ლარი);
43. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინცპექციის** ფოთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **(ზღვის დაბინძურების კონტროლის დარგში)** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
44. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინცპექციის** ფოთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **(გემთწამყვანი)** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
45. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინცპექციის** ფოთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **(ლაბორანტი)** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
46. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინცპექციის** ფოთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **(თევზჭერის კონტროლის დარგში)** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);
47. **შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინცპექციის** ფოთის განყოფილების სპეციალისტი (კატარღის მექანიკოსი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350 ლარი);

**"დამტკიცებულია"**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 26 იანვარის N 42 ბრძანებით**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვის ინსპექციაში საკონკურსო წესით თანამდებობებზე დასანიშნ პირთათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

**მუხლი 1. ცენტრალური აპარატის სწრაფი რეაგირების სამსახური**

**სწრაფი რეაგირების სამსახური:**

ა) მთავარი სპეციალისტი:

"ა.ა" უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;

"ა.ბ" თემატიკა: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი მეათე. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ), "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი, "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება, "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N512 ბრძანება, "ხე-ტყის კანონიერების და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 22 სექტემბრის N380 ბრძანება.

"ა.გ" უცხო ენის ცოდნა

"ა.დ" სამხედრო სავალდებულო სამსახური (სამხედრო ბილეთი);

**ბ)** უფროსი სპეციალისტი:

ბ.ა" უმაღლესი განათლება;

"ბ.ბ" თემატიკა: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი მეათე. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ), "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი, "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება, "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N512 ბრძანება, "ხე-ტყის კანონიერების და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 22 სექტემბრის N380 ბრძანება.

"ბ.გ" უცხო ენის ცოდნა

"ბ.დ" სამხედრო სავალდებულო სამსახური (სამხედრო ბილეთი);

**მუხლი 2. ანალიტიკური სამსახური**

**1. ანალიტიკური განყოფილება:**

ა) მთავარი სპეციალისტი

"ა.ა" უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი

"ა.ბ" თემატიკა: "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება.

"ა.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

"ა.დ" უცხო ენის ცოდნა;

**ბ)** სპეციალისტი

"ბ.ა" უმაღლესი განათლება.

"ბ.ბ" თემატიკა: "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება.

"ბ.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

"ბ.დ" უცხო ენის ცოდნა;

**2. იურიდიული განყოფილება:**

**ა)** მთავარი სპეციალისტი

"ა.ა" უმაღლესი იურიდიული განათლება, მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი

"ა.ბ" თემატიკა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი მეათე. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ); "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, "მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი; "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი; "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება.

"ა.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე

"ა.დ" უცხო ენის ცოდნა.

**ბ)** უფროსი სპეციალისტი

ბ.ა" უმაღლესი იურიდიული განათლება, მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

"ბ.ბ" თემატიკა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი მეათე. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ); "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, "მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი; "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი; "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება.

"ბ.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე

"ბ.დ" უცხო ენის ცოდნა

**მუხლი 2. ინსპექციის ტერიტორიული ორგანოები**

**ბიურო:**

**ა)** ბუღალტერი

"ა.ა" უმაღლესი ეკონომიკური განათლება, მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი

"ა.ბ" თემატიკა: "საქართველოს საბიუჯეტო სისტემისა და უფლებამოსილების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 26 ივნისის N341 ბრძანება, "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს N571 ბრძანება.

"ა.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე

**ბ)** უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი)

"ბ.ა" უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი

"ბ.ბ" თემატიკა: "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება,

"ბ.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

"ბ.დ" უცხო ენის ცოდნა;

"ბ.ე" მეთოდური და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების გამოცდილება;

**გ)** სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

"გ.ა" უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი

"გ.ბ" თემატიკა: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი მეათე. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ), "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი, "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება, "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N512 ბრძანება, "ხე-ტყის კანონიერების და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 22 სექტემბრის N380 ბრძანება.

"გ.გ" უცხო ენის ცოდნა

"გ.დ" სამხედრო სავალდებულო სამსახური (სამხედრო ბილეთი);

**დ)** სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

დ.ა" უმაღლესი განათლება,

"დ.ბ" თემატიკა: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი მეათე. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ), "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი, "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება, "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N512 ბრძანება, "ხე-ტყის კანონიერების და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 22 სექტემბრის N380 ბრძანება.

"დ.გ" უცხო ენის ცოდნა

"დ.დ" სამხედრო სავალდებულო სამსახური (სამხედრო ბილეთი);

**მუხლი 3. შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია**

**1. ინსპექციის:**

**ა) ბუღალტერი**

"ა.ა" უმაღლესი ეკონომიკური განათლება, მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი

"ა.ბ" თემატიკა: "საქართველოს საბიუჯეტო სისტემისა და უფლებამოსილების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 26 ივნისის N341 ბრძანება, "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს N571 ბრძანება.

"ა.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე

**ბ) უფროსი სპეციალისტი (ანალიტიკოსი)**

"ბ.ა" უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი

"ბ.ბ" თემატიკა: "გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 29 აგვისტოს N277 ბრძანება,

"ბ.გ" კომპიუტერი - საოფისე პროგრამების ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

"ბ.დ" უცხო ენის ცოდნა;

"ბ.ე" მეთოდური და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების გამოცდილება;

**2. ბათუმის განყოფილების:**

**ა) მთავარი სპეციალისტი (ზღვის დაბინძურების კონტროლის დარგში)**

ა.ა" უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი,

